MES 5 22 0001172267

27/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი 13.09.2022
სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (I საკითხი)
სხდომის მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის": პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	**თეაკბილცეცხლაშვილი**	**შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	I
2	**ქეთევან ქოქრაშვილი**		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	**ნინო ჯოჯუა**			I

			ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	
4	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრო	II
5	მირანდა მნაცაკანიანი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	აკაკი გირგვლიანი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	მანანა ჭუმბურიძე		პროფესორი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი	II
8	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VII, VIII
9	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	VII, VIII
10	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VII, VIII
11	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.	VII, VIII
12	ზურაბ საბაშვილი		მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის უფროსი.	VII, VIII
13	ომარი მიქაძე			VII, VIII

			"მეტალურგიის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	
14	ზურაბ სიმონგულაშვილი		"მეტალურგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის	VII, VIII
15	ნინო ყურშუბაძე		საზღვაო აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	III, IV, V
16	მანუჩარ ლორია		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი	III, IV, V
17	გულადი თხილაიშვილი		ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი,	III, IV, V
18	მამუკა ბარამიძე		ასოცირებული პროფესორი	III, IV, V
19	მედეა ქავთარაძე	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბა თუმის საზღვაო აკადემია	ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V
20	რომან მამულაძე		„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III, IV, V
21	ლედი ძნელაძე		„ბიზნესის ადმინისტრირების“	III, IV, V

			საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	
22	მეგი ანანიძე		„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III, IV, V
23	ქეთი ჭანიძე		„საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III, IV, V
24	ნინოჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	X
25	გიორგი მაისურაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	X
26	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფსოსი	X
27	ზაალ ანდრონიკაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	X
28	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერისტეტი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი	IX
29	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IX
30	გიული გიგუაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IX
31	ნინო ორჯონიკიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IX

32	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	VI
33	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	VI
34	მერი გოგოლაძე		პროგრამის კოორდინატორი	VI
35	3მარინა ქარჩავა		პრორექტორი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო ბოგვერაძე (თავმჯდომარე);	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ილია წიკლაური (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	სოფიო უგრეხელიძე (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი ფარეშიშვილი (წევრი).	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	მიხეილ რუხაია (თავმჯდომარე);	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მაქსიმ იავიჩი (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამარ გვიანიშვილი (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	შალვა მესხი (წევრი).	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე);	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
11	ილია ბოცვაძე (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V
12	ქრისტინა რზგოევა (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	თამარ ღუღუნიშვილი (წევრი).	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ნანი არაბული (თავმჯდომარე);	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
15	მაქსიმ იავიჩი (წევრი);	(ჩაერთო „ზუმით“)	II, VI
16	თათია უბერი (წევრი).	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
17	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII, VIII
18	ეკა ლეკაშვილი (თავმჯდომარე);	(ჩაერთო „ზუმით“)	IX
19	იოსებ ბერიკაშვილი (წევრი).	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

20	ნინო ჩიქოვანი	(ჩაერთო „ზუმით“)	X
21	ირაკლი ჩხაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	X

დაინტერესებული მხარე

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ვაჟა ანანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეტალურგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **პირველი საკითხი** : შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1		სამართალმცოდნეობა

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება MES 1 21 0000050846
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დ. აღმაშენებლისხეივანი13-ეკმ, #2, 0131, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
აცილებაგანაცხადაგოდერძი ბუშაშვილმა
აცილებისსაფუძველი: შრომითიურთიერთობისარსებობადაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიიცის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა ქალბატონ ნინო ბოგვერაძეს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტმა ნინო ბოგვერაძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ძალიან დიდი შრომა გასწია პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც დაადასტურეს როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ინტერვიუებით. ასევე პროცესში დადასტურდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით დადგა სასურველო შედეგი. უნივერსიტეტს გათვალისწინებული ჰქონდა 2021 წლის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, ასევე გათვალისწინებულია რჩევების ის ნაწილი, რომელიც გასცა ექსპერტთა ჯგუფმა. ასევე გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარის და, მათ შორის, დამსაქმებლების რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების პროცესში. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა 2.3 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლების პრინციპი და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე მოხდა მათი მხრიდან სილაბუსების ანალიზი და განხილვა, ჯგუფის წევრი ილია წიკლაური ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით საკმაოდ კვალიფიციური ექსპერტია და ჯგუფმა გაიზიარა ბატონი ილიას შემოთავაზება ორ სასწავლო კურსთან მიმართებით, ესენია: ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა და **ადმინისტრაციული წარმოება.** ამ კურსებთან დაკავშირებით რეკომედაცია შეეხო სილაბუსში არსებულ სასწავლო კურსების თემათიკას და მის გადანაწილებას სასწავლო კვირების მიხედვით.
პირველი საკითხი ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა, რეკომენდირებულია, რომ სილაბუსში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სალექციო საათები წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შესახებ მე-6 კვირაში გათვალისწინებულ საკითხებს. ამას ხსნიან იმით, რომ მანამ სანამ ადმინისტრაციული ორგანოს პასუსხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის სტუდენტი, მისთვის უმჯობესია რომ ჯერ გავლილი ჰქონდეს ადმინისტრაციული ორგანოს საქმინობასთან დაკავშირებული თემატიკა. შემდეგი საკითხიც ეხება იმავე სილაბუსს, კერძოდ კი, შუალედური შეფასება ჩატარდეს მე-7 და მე-10 კვირის სალექციო თემატიკის სრულად დაფარვის შემდეგ მაშინ, როცა სტუდენტს აქვს ცოდნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის, მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ აქტების სახეების შესახებ.
ვინაიდან მეშვიდე და მეათე თემატიკა სილაბუსის თანამხმად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან მიზანშეწონილია, მათი სრულად დაფარვის/ათვისების შემდგომ შუალედური შეფასების უზრუნველყოფა. იგივე სილაბუსთან დაკავშირებით რეკომენდირებულია, სალექციო კურსის დასაწყისში ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მე-12-13-ე კვირებით გათვალისწინებული თემატიკების გადატანა, რომ სტუდენტს წარმოდგენა ჰქონდეს იმ სუბიექტის შესახებ, რომლის საქმიანობის ფორმებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხებსაც შეისწავლის მომდევნო კვირებში. მეთორმეტე, მეცამეტე კვირებში მოცემული თემატიკა ეხება აღმასრულებელი ორგანოსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების შესახებ საკითხებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სტუდენტი ჯერ

გაეცნოს ამ საკითხებს და ჰქონდეს წარმოდგენა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე. შემდეგი საკითხი ეხება ადმინისტრაციული სამართლის ადმინისტრაციული წარმოების თემატიკასა და შინაარსთან დაკავშირებულ საკითხებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს საგნის ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) შინაარსი და თემატიკა. მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგანი: შესძინოს სტუდენტს ცოდნა ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების შესახებ, თუ დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული საკითხები სფეროებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ამ სასწავლო კურსში ძირითადი აქცენტირება გადატანილია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე. შესაბამისად, საჭიროა კურსის მიზნის განსაზღვრა და დაკონკრეტება. 4.3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მნიშვნელოვანია და საჭირო სწავლის პროცესში, ამიტომაც მიზანშეწონილია, რომ ბიბლიოთეკაში მოხდეს მისი გააქტიურება მომხმარებლისთვის ბიბლიოთეკის თუნდაც 2-3 კომპიუტერზე, საიდანაც სტუდენტს უშუალო წვდომა ექნება რესურსზე და შეძლებს ბაზასთან მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს, და თხოვა ინსტიტუცია პოზიცია დაეფიქსირებინა.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა ქეთევან ქოქრაშვილმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა მოახსენა შეკრებილ საზოგადოებას დათმობილი დროისთვის, და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ექსპერტთა შემადგენლობას კოლეგიალურობისთვის და გაწეული შრომისათვის. საკითხთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ მათ აქვთ რეალურად ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ სამართალს, რომელიც აბსოლუტურად გაზიარებული აქვთ და საჭიროების შემთხვევაში მზაობა გამოთქვა განახლებული სილაბუსის წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელშიც იქნება სრულად გაზიარებული რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ დისციპლინის ლექტორმა უკვე შეიტანა ცვლილებები ორივე სილაბუსში. მაცნეს მომხმარებლებთან მიმართებაში ითქვა, რომ ორი ანგარიშის გამოყენებით სტუდენტებს უკვე აქვთ წვდომა საკანონმდებლო მაცნესთან და მზაობა გამოთქვა იმისა, რომ თანდათან მოხდება მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ინსტიტუციის წარმომადგენელს, რომელიც შეეხო სტუდენტთა რაოდენობის მიღებას კონკრეტულ პროგრამაზე.

ინსტუიტუციის წარმომადგენელის თქმით ნაკადი წინა წლებთან შედარებით მომატებულია და წელს საბაკალავრო პროგრამაზე 62 სტუდენტი მიიღეს . ადგილები წინა წლებთან შედარებით გარკვეულწილად შემცირებული ჰქონდათ, თუმცა მაინც არ ფიქრობდნენ, რომ გამოცხადებულ ადგილებს სრულად შეავსებდნენ. ასევე აღნიშნეს, რომ მობილობა ჯერ არ დასრულებულა და შესაძლოა მობილობითაც ისარგებლონ სტუდენტებმა. დასძინა, აგრეთვე, ის, რომ საკმაოდ გაზრდილია მაგისტრატურაზე მიღება წინა წლებთან შედარებით. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა წელს ხუთი სტუდენტი მიიღეს, ხოლო წელს – მაგისტრატურის მსურველთა 21 განაცხადი .

სხდომის თავმჯდომარემ მიულოცა ინსტიტუციას, მადლობა გადაუხადა და მიმართა საბჭოს კითხვებისთვის.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ინსტიტუციას, რომელიც ეხებოდა მაცნეს გამოყენებას, კერძოდ, კი იმას, თუ რამდენ სტუდენტს შეეეძლო ერთდროულად მომხმარებლის ანგარიშის გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ანგარიში ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია, თუმცა ერთდროულად რამდენიმე სტუდენტი მის გამოყენებას ვერ შეძლებს. კითხვის ავტორმა, თამარ ზარანდიამ, მადლობა მოახსენა დაწესებულების წარმომადგენელს პასუხისთვის და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო აქტები თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მაგრამ კანონქვემდებარე აქტებთან დაკავშირებით სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში. მისი თქმით, ყურადღება მიიპყრო რჩევამ, სადაც ინსტიტუციას ურჩევენ, რომ სამართლის მეთოდები არჩევითის ნაცვლად სავალდებულო საგნების ბლოკში იყოს გადატანილი, ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება, რადგან ეს რჩევა სავალდებულო ბლოკს ეხებოდა.

ექსპერტმა ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, ბოლო დროს აქტუალურ საკითხად იქცა კანონის განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები და ამდენად ეს რეკომენდაციაში ვერ გაითვალისიწინეს, ისინი ვერ დაავალდებულებდნენ უნივერსიტეტს სავალდებულო კომპონენტად გაეთვალიწინებინა აღნიშნული, თუმცა რჩევის სახით მაინც ურჩიეს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სტრუქტურა, როგორი მოცემულობითაც არის წარმოდგენილი, სავსებით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გადის შედეგებზე, მიზნებზე, ხოლო თუ სავალდებულო კურსის სახით არ იქნება წარმოდგენილი ის ხელს არ შეუშლის პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას.

ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ, დააზუსტა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილ სტრუქტურაში აღნიშნული კურსი გავლენას არ ახდენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობაზე.

სხდომის თავჯდომარის კითხვას, ასევე, უპასუხა სოფიო უგრეხელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა პროგრამის თანახელმძღვანელთან, სადაც რამდენიმე საგანზე ისაუბრეს. შესაბამისად, აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე და, აგრეთვე, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რაც მოცემული აქვთ სილაბუსში სტრუქტურა არანაირ გავლენას არ ახდენს სწავლის შედეგებზე. მოხდა საკითხის რჩევაში გადატანა. სოფიომ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალიწინა, ასევე ყველა რჩევა, რომელიც მათთვის სასარგებლო იყო და მოცემული პრაქტიკიდან გამომდინარე საკითხის გადატანა მოხდა რჩევაში და დაწესებულება ამას თუ გაითვალისწინებს ეს მათ პროგრამაზე დადებითად აისახება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ის სრულად იზიარებს პათოსს, რომელიც შექმნილია ამ საგანთან დაკავშირებით, თუმცა ერთადერთი პრობლემა, რომელიც საკითხის განხილვისას წარმოეშვათ არის ის, რომ პროგრამა რეგულირებადია და კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია. შესაბამისად, მათ საგნის ჩანაცვლება არ სურდათ, ამავე დროს სიფრთხილით ეკიდებიან თავისუფალი კრედიტების კომპონენტს. დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი მათ დღის წესრიგში დგას.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დასვა მემორნდუმებთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტები მთელი რიგი საკითხების შესახებ გასცემდნენ რჩევებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი სპეციალობიდან გამომდინარე მემორანდუმებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც ქვეყნის შიგნით დადებულს, ისე უცხოეთში (ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით). მათ ბოლო თერთმეტი თვის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი მემორანდუმი გააფორმეს, როგორც უსდ-ებთან,ისე კერძო კომპანიებთან, საქალაქო სასამართლოსთან და ა.შ. რაც შეეხება არსებულ მემორანდუმებს, მათ გადახედეს იმ მემორანდუმებს, რომლებსაც ვადა ჰქონდა და დატოვეს, ხოლო რომელსაც გასდიოდა ან გაუვიდა მოქმედების ვადა მათთან მოლაპარაკებები აწარმოეს, ნაწილთან კი ამ დრომდე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

თავმჯდომარემ კითხვებისთვის მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვები არ იყო.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:30

დასრულების დრო: 14:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2026 წლის პირველ ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინაღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2026 წლის პირველ ივლისამდე.

რეკომენდაციები:

2.3. სტანდარტთან მიმართებით:

1. მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული სამართლის (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული თემატიკა გადამუშავდეს და სალექციო თემატიკის თანმიმდევრობა შეიცვალოს სასწავლო კვირების გათვალისწინებით, კერძოდ:

1.1.სილაბუსში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სალექციო საათები წინ უნდა უსწრებდეს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შესახებ მე-6 კვირაში გათვალისწინებულ საკითხებს.

1.2.შუალედური შეფასება ჩატარდეს მე-7და მე-10 კვირის სალექციო თემატიკის სრულად დაფარვის შემდგომ მაშინ, როცა სტუდენტს აქვს ცოდნა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის, მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ აქტების სახეების შესახებ. 1.3.სალექციო კურსის დასაწყისში გადატანილ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მე-12-13-ე კვირებით გათვალისწინებული თემატიკა, რომ სტუდენტს წარმოდგენა ჰქონდეს იმ სუბიექტის შესახებ, რომლის საქმიანობის ფორმებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე საკითხებსაც შეისწავლის მომდევნო კვირებში.

2. მიზანშეწონილია, გადაიხედოს საგნის ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება) შინაარსი და თემატიკა. მნიშვნელოვანია, დოკონკრეტდეს, თუ რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგანი: შესძინოსსტუდენტს ცოდნა ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების შესახებ, თუ დაიფაროს ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული სფეროების და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხები.

4.3. სტანდარტთან მიმართებით:

იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ ბაზაზე წვდომა მნიშვნელოვანია და საჭირო სწავლის პროცესში, მიზანშეწონილია ბიბლიოთეკაში გააქტიურდეს, მომხმარებლის თუნდაც 2-3 ანგარიში ბიბლიოთეკის კომპიუტერზე, სადაც სტუდენტს ექნება უშუალო წვდომა და შეძლებს ბაზასთან მუშაობას.

რჩევები:

1.1. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ მონაცემები განახლდეს.

2.1. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, დაშვების წინაპირობებში მითითებული პირობა - „სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე“ - ან საერთოდ ამოღებულ იქნეს, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების

გარეშე, მინისტრის ბრძანებით ჩარიცხვის გზა, ასევე, გულისხმობს უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გზით მიღებას, ან ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამართალმცოდნეობის პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

2.3. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, სასწავლო კომპონენტი „სამართლის მეთოდები“ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არჩევითის ნაცვლად, სავალდებულო საგნების ბლოკში იქნეს გადატანილი.

2.4. სტანდარტთან მიმართებით: სასურველია, ახალი სასწავლო წლისათვის გადაიხედოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ, პროგრამის მოდიფიცირებამდე გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები და განხილულ იქნეს ამ დოკუმენტზე ხელმომწერი მეორე მხარის, პარტნიორი ორგანიზაციების მზაობა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თაობაზე და ამ შემთხვევაში, უნდა განახლდეს შეთანხმების დოკუმენტები არამხოლოდ მოქმედების ვადების, არამედ შინაარსობრივი საკითხების ჭრილში, დაკონკრეტდეს ის აქტივობები და ღონისძიებები პროგრამის მიზნებისა და კურიკულუმის გათვალისწინებით,, რის განხორციელებასაც რეალურად უზრუნველყოფს პარტნიორი დაწესებულება.

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული - ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N61, (7.09.2018)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და

		აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა N59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N 3, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიიცის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა ექსპერტს პოზიციის დაფიქსირება.

ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ სიტყვა დაიწყო მისალმებით და აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 2 აგვისტოს და ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: მაქსიმ იავიჩი, თამარ გვიანაშვილი და შალვა მესხი. პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პირველი და მეორე სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო დანარჩენი სამი სტანდარტი კი სრულ შესაბამისობაშია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო გაცემული რეკომენდაციები:

1.დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან.

2.საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრისის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.

3.არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.

4.პროგრამას დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.

5.პროგრამას დაემატოს საგნები „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“

6. დაკორექტირდეს საგნის „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ სილაბუსი, სადაც ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან ერთად, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. Windows Defender-ის თემატიკა გაერთაინდეს ანტივირუსულ საშუალებებთან.

7.დაკორექტირდეს საგნის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ სილაბუსი და მასში შევიდეს დარგის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

რჩევის სახით კი გაიცა ორი შემდგომი საკითხი:

1. სასურველია კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ - ახლა ტარდება 2 წლის თავზე
2. პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი დარგის პრაქტიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტი, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულებას დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი აკაკი გირგვლიანი, პროგრამის ხელმძღვანელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ასევე, აღნიშნა, რომ მოკლედ შეეხებოდა იმ რეკომენდაციებს, რომელიც ასახულია დასკვნაში, მან, ასევე, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. ბატონმა აკაკიმ აღნიშნა, რეკომენდაციების განხილვა მოხდა სამუშაო ჯგუფში (დეპარტემენტის სხდომაზე) და აღინიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები საერთო ჯამში აუცილებელია პროგრამის გაუმჯობესებისთვის და სრულად გაიზიარეს ყველა რეკომენდაცია. როგორც აღნიშნა შვიდი რეკომენდაციიდან ერთი ეხება პროგრამის მიზანს, დანარჩენი ექვსი კი კავშირშია პროგრამის სტრუქტურასთან. პირველ რეკომენდაციას დაწესებულება სრულად დაეთანხმა. ამ რეკომენდაციის, როგორც აღნიშნა, გადამომწების შემდეგ მართლაც გამოიკვეთა ხარვეზი. საბოლოოდ კი, სრულად იქნა გაზიარებული პირველი რეკომენდაცია. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საგანში, „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ ჩაემატა მთელი რიგი საკითხი უმაღლესი მათემატიკის თემებიდან, გარდა ამისა მისაღებ გამოცდაზე დაემატა .კალკულუსისა და წრფივი ალგებრის საკითხები, რომელიც ისწავლება საბაკალავრო პროგრამებში. გარდა ამისა, მისაღებ გამოცდაზე დაემატა პროგრამირების საკითხები, რომლებიც აქამდე არ იყო გათვალისწინებული. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „სისტემების უსაფრთხოებისა დაცვა“ სავალდებულო საგნად იქნება შეთავაზებული. ასევე, გაითვალისწინეს ანალოგი საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც აღნიშნული საგანი ყველგან იყო შეთავაზებული. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, გაერთიანდა სასწავლო კურსები „სამეცნიერო კვლევით საფუძვლები“ და „სემინარი კომპიუტერულ მეცნიერებებში“ და ერთ სავალდებულო საგნად ჩამოყალიბდა. ბატონმა აკაკიმ, ასევე, აღნიშნა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებული საკითხები, ორი სასწავლო კურსი - „ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება - 1“ და „ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება - 2“ გაერთიანდა ერთ სასწავლო კურსად „ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება“, ხოლო გამოთავისუფლებული 5 კრედიტიდან 3 კრედიტი დაეთმო თეორიული ინფორმატიკის საკითხებს და 2 კრედიტი დაემატა „ხელოვნური ინტელექტის სისტემებს“.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს მოხსენებისთვის და მიმართა საბჭოს კითხვებისთვის.

სხდომის თავმჯდომარე კითხვა დასვა მოთხოვნასთან დაკავშირებით, იმის შესახებ თუ რა ღონისძიებებს გაატარებენ სტუდენტთა მოზიდვის კუთხით, მეორე კითხვით კი მიმართა ექსპერტებს იმის შესახებ, თუ რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომების გადამოწმების და როგორ შეაფასებენ ისინი ნაშრომების შესაბამისობას დებულებისა და სტანდარტებს, სტრუქტურასთან მიმართებით.

ირინა გველესიანმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა ინსტიტუციას, რომელიც შეეხო ახალგაზრდა პრაქტიკოსი სპეციალისტების პროგრამაში ჩართულობას.

ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ თავჯდომარის კითხვას უპასუხა ის, რომ მათ გამოითხოვეს ნაშრომები ქულების მიხედვით, და მოხდა მაღალ-ქულიანი, საშუალო-ქულიანი და დაბალ-ქულიანი ნაშრომების გადამოწმება, რითიც დადგინდა, რომ ნაშრომები სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში მოდის დათქმულ სტანდარტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ უპასუხა თავჯდომარის კითხვას და აღნიშნა, რომ კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა მათ დროებით არ ჰქონდათ აკრედიტებული, შესაბამისად ეს იყო მიზეზი პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნის შემცირებისა. თუმცა წელს მსურველთა რაოდენობა საკმაოდ გაზრდილია და პროგრამას, ამ მხრივ, ჩავარდნა არ აქვს.
დაწესებულების წარმომადგენელმა თეა კორძაძემ, ასევე, პასუხი გასცა ირინა გველესიანის კითხვას და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში, მათ გამოაცხადეს კონკურსი აკადემიურ თანამდებობაზე და რამდენიმე ახალგაზრდა წევრი შემატეს პროგრამას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აკაკი გირგვლიანმა, როგორც აღნიშნა, მათ კონკურსი ჰქონდათ გამოცხადებული, რის შემდეგაც გააფართოვეს დეპარტამენტის შემადგენლობა ახალგაზრდა სპეციალისტებით, მათ სამი ახალგაზრდა სპეციალისტი დაიმატეს.
საბჭოს წევრმა ირინა გველესიანმა დადებითად შეაფასა დაწესებულების დამოკიდებულება საკითხისადმი და მადლობა გადაუხადა პასუხებისთვის.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:10
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინაღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
რეკომენდაციები:

1. დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან.
2. საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრის ის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.
3. არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.

4. პროგრამას დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.
5. პროგრამას დაემატოს საგნები „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“.
6. დაკორექტირდეს საგნის „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ სილაბუსი, სადაც ინფორმაციის კონფიენციალურობასთან ერთად, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. Windows Defender-ის თემატიკა გაერთაინდეს ანტივირუსულ საშუალებებთან.
7. დაკორექტირდეს საგნის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ სილაბუსი და მასში შევიდეს დარგის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

რჩევები:

1. სასურველია კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ - ახლა ტარდება 2 წლის თავზე
2. პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი დარგის პრაქტიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტი, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.

3. **მესამე საკითხის განხილვა:** სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	ბათუმი 6010, საქართველო, რუსთაველის ქ. N53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიიცის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა ექსპერტს დაეფიქსირებინა პოზიცია.
ექსპერტი დავით სიხარულიძე მიესალმა დამსწრეებს, და აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 ივნისს. სამუშაო განრიგის მიხედვით შედგა გასაუბრება ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ექსპერტმა როგორც აღნიშნა პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა რომ 1.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობასია, მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია, 2.2 2.3და 2.4 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია, ხოლო 2.5 და 26 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია.რაც შეხება მესამე სტანდარტს სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან თუმცა აქ 3.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია. მეოთხე სტანდარტი მთლიანად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მეხუთე სტანდარტიც, მიუხედავად იმისა რომ 5.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) ლოგიკის დახვეწა და გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა
3. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს დაემატოს მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, ან მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან მმართველობითი აღრიცხვა ან საერთაშორისო ფინანსები) მიმართულების საგნები საგნები.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მენეჯმენტი“ დამატება ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომპონენტებში.
5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „საერთაშორისო ბიზნესი“ „ელექტრონული ბიზნესი“ და „ბიზნესის კომუნიკაციები“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის დონესთან.

7. რეკომენდებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებისას მითითებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებასას კომპანია აპირებს სტაჟირებისას, ასევე მემორანდუმებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები.
8. რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ელ-ბაზების შესახებ;

1. რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტს ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რამდენად სიღრმისეულად შემოწმდა „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსი.
ექსპერტმა როგორც აღნიშნა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი პროგრამაში არის და ყველა სილაბუსი დეტალურად შემოწმდა, „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსში არ დაფიქსირეიბულა რაიმე პრობლემა, აქ უფრო მეტად სამაგისტრო ნაშრომების მონიტორინგის საკითხი დგას დღის წესრიგში. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მონიტორინგი უნდა განხორციელდეს იმაზე თუ რამდენად იცავს ავტორი დადგენილ სტანდარტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ყურშუბაძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საფუძვლიანი და ღირებული რეკომენდაციებისთვის. აღნიშნა ის გარემოება, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაცემული ჰქონდა ექსპერტებს დაწესებულებასთან მიმართებაში. კერძოდ, მოხდა ცვლილებები კურიკულუმის რუკაში, ასევე საგნები, რომელიც არჩევით კომპონენტად იყო პროგრამაში რეკომენდაციის შესაბამისად გადმოტანილ იქნა ძირითად კომპონენტად. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების წესში დაემატა დეტალიზებული აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების, სამიზნე ნიშნულების შემუშავება, მათი იდენტიფიცირება, პასუხისმგებელი პირების დადგენა და ვადების განსაზღვრა. ასევე გაიზიარეს რეკომენდაცია სასწავლო კურსებთან მიმართებით, სადაც გარკვეული თემატიკის დამატებასთან არის დაკავშირებული, და დაემატა სასწავლო კურს, რათა მეტად მიღწევადი გახდეს მაგისტრატურის სწავლების შედეგები. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების სტანდარტს, როგორც აღნიშნა მომხსენებელმა (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე) საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია ორი წესი, ეს არის „სამაგისტრო საფეხურის განხორციელების წესი“, რომელიც ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების სტანდარტს, და აგრეთვე, კვლევითი კომპონენტი სამაგსიტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსშია შემუშავებული, რომელიც პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით არის შემუშავებული. დაწესებულების წარმომადგენელმა სამეცნიერო ბაზების წვდომასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და არიან ინფორმირებულები, რომ არსებობს მსგავსი ბაზები და შეუძლიათ მათი გამოყენება, ასევე საინფორმაციო ბუკლეტები განთავსებულია როგორც აკადემის ბიბლიოთეკაში, ისე აკადემიის ყველა შენობაში. აღინიშნა, დამატებით მიზანშეწონილად თვლიან, რომ განემარტოს მაგისტრატურის სტუდენტს და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მოხდეს დამატებითი ინფორმირება. კვლევის მეთოდებთან მიმართებით ითქვა ის, რომ ისწავლება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებამდე. ბოლო რეკომენდაცია, რომელიც, აგრეთვე, გათვალისწინების პროცესშია, ეხება მემორანდუმებს. მემორანდუმებთან მიმართებაში, სხვა პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტებმა გასცეს მსგავსი რეკომენდაცია. შესაბამისად, ამ პროცესის საბოლოო დარეგულირების და შემდგომი ხარვეზების დადგენისა და აღკვეთის მიზნით დაწესებულების მიერ გადაწყვეტილია რომ შემუშავდეს მემორანდუმების გაფორმების წესი, ფორმა და ამავდროულად მემორანდუმებში დაკონკრტდეს მათი მიზნობრიობა და გათვალისწინდეს ყველა აქტიური რეკვიზიტი, რომელსაც ითვალისწინებს მემორანდუმი.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვებისთვის მიმართა საბჭოს.

საბჭოს წევრი ნათია ზედგინიძე მიესალმა ინსტიტუციას, ექსპერტებს. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომელიც ეხებოდა პროგრამაში კონცენტრაციების სწავლის შედეგების ასახვას პროგრამის სწავლის შედეგებში. საბჭოს წევრმა ეკა ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნათიას კითხვისთვის, მიესალმა ექსპერტებს, ინსტიტუციას. მისი კითხვა ეხებოდა საფეხურთან შესაბამისობის საკითხს, კერძოდ, „ცოდნის მენეჯმენტისა“ და „ტრანსფორმაციული ლიდერობის“ სასწავლო კურსებს. ქალბატონმა ეკამ ითხოვა დაზუსტება იმის შესახებ თუ რატომ არის შერჩეული სასწავლო კურსის სახელწოდება ტრანსფორმაციული ლიდერობა და არა ლიდერობა და გუნდის მართვა, ასევე, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსისთვის მითითებულია ნაკლებად რელევანტური დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად საბაკალავრო დონეს შეესაბამება, აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება. ცოდნის მენეჯმენტთან მიმართებით, ქალბატონმა ეკამ დაზუსტებისთვის იკითხა, თუ სად იფარება ადამიანური რესურსების მართვის კომპეტენცია პროგრამაში, რადგანაც დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მედეა ქავთარაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, დამსწრე საზოგადოებას დათმობილი დროისთვის. სილაბუსებთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ შემუშავდა პროგრამის ფარგლებში და ბენჩმარკინგის გათვალისწინებით, ისინი დაეყრდნენ სხვა უნივერსიტეტის მაგალითებს და სასწავლო კურსები როგორც სხვა უნივერსიტეტებში იყო წარმოდგენილი, ისე გაიზიარეს - ცოდნის მენეჯმენტი ჩასვეს არჩევით ბლოკში. რაც შეეხება ლიტერატურას, აღინიშნა რომ ამ მიმართულებით ქართული წყაროები მწირია და გამოყენებულია ის ლიტერატურა, რომელიც ამის შესაძლებობას იძლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ახორციელებენ უცხოენოვანი წყაროების თარგმნას და რიდერების მომზადებას, რომლის ნაწილი ბიბლიოთეკაში განთავსებულია და გამოყენებადია სტუდენტების მიერ. ქალბატონმა მედეამ აღნიშნა, რომ სასწავლო კური „ტრანსპორმირებული ლიდერობა“ ბენჩმარკინგის გზით აირჩიეს და ამ მართულებით ინსტუტუციის შიგნით მუშაობდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გადაწყვიტა, აღნიშნული საგანი ძირითად სასწავლო კურსების ნაწილი ყოფილიყო. ასევე განიმარტა, რომ პროგრამის მიზანში ასახულია, რომ აღზარდონ კონკურენტუნარიანი ლიდერები, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი კომპეტენციები და აქედან გამომდინარე ფიქრობენ რომ აღნიშნული სილაბუსი პროგრამის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ამავდროულად, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, გარდა სილაბუსში არსებული ძირითადი ლიტერატურისა შემუშავებულია მისი განმახირციელებელი პირის მიერ შესაბამისი რიდერი, რომლის წარმოდეგანაც შესაძლებელია საჭიროებისამებრ.

საბჭოს წევრმა ეკა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია და საინტერესო პროგრამაში სწავლების მხრივ, თუმცა კითხვა ეხებოდა ადამიანური რესურსების მართვის კომპეტენციას, რომელიც, ასევე, მნიშვნელოვანია და დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვრა, ჩნდება ეჭვი, რომ პროგრამაში ეს ნაწილი არ იფარება. ასევე, აღინიშნა, რომ არც ერთ სასწავლო კურსში არ არის შეტანილი ადამიანური რესურსების მართვის საკითხები (მაგ.: პერსონალის მოტივაცია). ასევე, განიმარტა, რომ ტრანსფორმაციული ლიდერობის კურსი ამ ფორმითა და სახელწოდებით კარგია, მაგრამ კურსში განხილული თემატიკა და თემატიკის დასაფარად შერჩეული ლიტერატურა არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან. საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ ეს კურსი არის ლიდერობა და გუნდის მართვა, მაგრამ არ არის ტრანსფორმაციული ლიდერობა, რადგან მასში ასახული საკითხები და ლიტერატურა აღნიშნულ სათაურს არ შეესაბამება და არ ფარავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი მუშაობს რიდერის დახვეწაზე და შესაბამისი ცვლილებები აისახება შესაბამის რიდერში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, სწავლის შედეგებთან დასმულ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონცენტრაციის საკითხები არის მოცემული და

მაგალითად მოიყვანა მეოთხე სწავლის შედეგი, რომელიც ეხება საზღვაო ლოჯისტიკის მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკის მეთოდებსა და გლობალურ ტენდენციებს და ა.შ. ასევე, მეხუთე სწავლის შედეგი, რომელიც ეხება უნარებს, კონცენტრაციის საკითხებს უკავშირდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მედეა ქავთარაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში პირველი და მეორე რეკომენდაციები ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებას, რასთან მიმართებითაც დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, **კურიკულუმის** რუკაში დაიხვეწა კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეები სადაც წარმოჩინდა კონცენტრაციის სასწავლო კურსების დიდი მნიშვნელობა. ასევე მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები დაწესებულებისთვის საკმაოდ ფასეული აღმოჩნდა. დაწესებულების წარმომადგენელი აღწერს, რომ ცვლილება განხორციელდა თანმიმდევრულად, თავდაპირველად დაამატეს და გადაანაცვლეს სასწავლო კურსები, რამაც გააღრმავა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები და წარმოაჩინა კონცენტრაციების სასწავლო კურსების მნიშვნელობა, აღნიშნული ცვლილებები კი აისახა სწავლის შედეგების შეფასების რუკაში და დაიხვეწა სამივე დონეზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვა დაუსვა პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის მიღებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვის პასუხად აღნიშნა, რომ ათი სტუდენტის მიღებას აპირებენ აღნიშნულ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვა დაუსვა კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე, კონკრეტულად კი იკითხა მათ პოზიციებზე და, ასევე, დაზუსტებისთვის ჰკითხა ჰქონდათ თუ არა შესწავლილი ადგილობრივი ბაზარი ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი კურსდამთავრებულები იქნებიან მაღალი რგოლის მენეჯერები, ძირითადად, საზღვაო სფეროში და, ასევე, აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც მოხდება კურსდამთავრებულთა დასაქმება.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 15:38
დასრულების დრო:15:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მოხრე - 15
წინაღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს

აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) ლოგიკის დახვეწა და გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკე გაიწეროს კონცენტრაციის სწავლის შედეგები
4. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს დაემატოს მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, ან მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან მმართველობითი აღრიცხვა ან საერთაშორისო ფინანსები) მიმართულების საგნები საგნები. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მენეჯმენტი“ დამატება ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომპონენტებში.
5. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „საერთაშორისო ბიზნესი“ „ელექტრონული ბიზნესი“ და „ბიზნესის კომუნიკაციები“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის დონესთან.
7. რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს ადამიანური რესურსების და მმართველობითი აღრიცხვის საკითხებით
8. რეკომენდებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებისას მითითებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებასას კომპანია აპირებს სტაჟირებისას, ასევე მემორანდუმებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები.
9. რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ელ-ბაზების შესახებ;
10. რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.

რჩევები

1. სასურველია, შეფასების მარეგულირებელ წესში მიეთითოს საგამოცდო ნაშრომის შეფასების დრო;
2. სასურველია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში.
3. სასურველია, თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის,
4. სასურველია, სწავლების თანამედროვე მეთოდების არამარტო სილაბუსებში არამედ პრაქტიკულად დანერგვა და „ქეის სთადის“ პრაქტიკულად განხორციელება
5. სასურველია, საჯარო ლექციების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტებთან შეთანხმებით მათთვის ხელსაყრელ დროს.

6. სასურველია, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის არხების გაძლიერება რათა მათ მიეცეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად ესემეს შეტყობინებების გაგზავნა;
7. სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება მიმართულების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება: prince2 და SAP
8. სასურველია, სტუდენტები ხელმძღვანელის მხრიდან იყვნენ ინფორმირებულნი აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით;
9. სასურველია დაწესებულებამ განიხილოს საუკეთესო თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა.
10. სასურველია გადაიხედოს საბიბლიოთეკო ფონდი და განახლებული იქნას კანონმდებლობა. ასევე, მიეცეს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“ ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან სისტემატიურად მიეწოდოს განახლებული, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტები.

4. **მეთხე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიშის განხილვა განხილვა.
5. **მეხუთე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „საზღვაო ტურიზმის“ სამაგისტრო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიშის განხილვა განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიიცის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს, დავით სიხარულიძეს სთხოვა მოკლე მოხსენების წარმოდგენა განხორციელებულ შეფასებებთან მიმართებაში.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შინარსსა და სასწავლო კურსებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროგრამის პირველი, მეორე და მეხუთე სტანდარტები და, შესაბამისად, მოკლედ წარმოადგინა რეკომენდაციები. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასცეს ოთხი ძირითადი რეკომენდაცია :

1. რეკომენდებულია მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გაუმჯობესება ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით.
2. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ სტანდარტებთან და გათვალისწინებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
3. რეკომენდებულია მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ მეორე ნაწილად საბჭოს გააცნო „საზღვაო ტურიზმის“ სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია და აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის მიზანი ივივე იყო და ეფუძნებოდა მოქალაქის განცხადებას. განცხადებაში კი აღნიშნულილი იყო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები, როგორიც არის ფინანსური აღრიცხვა და ანალიზი ტურიზმში, ფინანსური მენეჯმენტი და საერთაშორისო ბიზნესი, ადამიანური რესურსების მართვა საკრუიზო გემებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის ძველი სტანდარტებით შეფასებული და აკრედიტირებული. აღნიშნულ პროგრამაზე კი გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მოხდეს ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესება ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით;
2. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ სტანდარტებთან და გათვალისწინებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
3. რეკომენდებულია მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ყურშუბაძემ, აღნიშნა, რომ პირველ სამ რეკომენდაციაზე პასუხს პროგრამის ხელმძღვანელი გასცემს, ხოლო მეოთხე რეკომენდაციაზე დაწესებულებამ წერილობითი განცხადების (არგუმენტირებული პოზიციის) დროს დეტალურად აღწერა თუ როგორ ატარებს აკადემიური მოსწრების ანალიზს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, განმარტა, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად ახორციელებს მონიტორინგს, აფასებს გავლილ სასწავლო სემესტრს და მიღებული შედეგების საფუზველზე ფაკულტეტს წარუდგენს რეკომენდაციებს. რაც შეხება პროგრამების ახალ სტანდარტებთან მოყვანას, ნინო ყურშუბაძემ აღნიშნა, რომ პროგრამები შემუშავებულია და აკრედიტირებულია ძველი სტანდარტების მიხედვით, ხოლო ახალი სტანდარტების მიღების შემდეგ პროგრამებზე განახორციელეს ცვლილებები, როგორც სწავლის შედეგების, ასევე სწავლის მიზნების ფორმირებაში. ასევე განმარტავს, რომ დაწესებულება მზაობას გამოთქვამს კლასტერული აკრედიტაციის პერიოდში გამოასწოროს და შესაბამისაობაში მოიყვანოს პროგრამა ახალ სტანდარტებთან და არსებულ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ტურიზმის პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს 2023 წლისთვის, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა 2024 წლისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა რომან მამულაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თავი წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად. მან მადლობა მოახსენა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისათვის, ვიზიტის ფარგლებში კოლეგიალურობისათვის, გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით აღინიშნა, რომ არის ობიექტური და შეესაბამება რეალურ გარემოებებს, ასევე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დაეხმარება დაწესებულებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ განვითარებას. თავდაპირველად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი და მეორე რეკომენდაცია ორივე პროგრამაში ეხება პროგრამის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, რასაც სრულად იზიარებს პროგრამის ხელმძღვანელი და დასძენს, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2018 წელს, ძველი სტანდარტით, შესაბამისად ძველ სტანდარტს შეესაბამება. თუმცა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა იმისათვის, რომ ახალ სტანდარტებთან ყოფილიყო შესაბამისობაში. დაწესებულების წარმომადგენელი აზუსტებს, რომ პროგრამას ჰქონდა ოთხწლიანი აკრედიტაცია და 2022 წლის 29 სექტემბერს მას უმთავრდებოდა აკრედიტაციის ვადა, ფაკულტეტი მუშაობდა განახლებულ პროგრამაზე, თუმცა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კლასტერული აკრედიტაციის სახით იქნება

წარმოდგენილი. შესაბამისად, მიღებული ცვლილებები არსებულ პროგრამაში ასახული არ არის, მაგრამ ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული განახლებულ პროგრამებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველზე და ამავედროს კითხა ვადებზე, რომელიც ჯერ კიდევ აქვს დაწესებულებას პროგრამის აკრედიტაციის თვალსაზრისით, თუ მოახდენენ ამ ვადაში ცვლილების განხორციელებას, რომელიც იყო რეკომენდირებული მათ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა რომან მამულაძემ აღნიშნა, მათ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე კლასტერის ვადა 2023 წლამდე აქვთ და ამ ვადაში ისინი მოახდენენ პროგრამის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანას. ხოლო რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას კლასტერის ვადა 2024 წლამდე აქვთ და ამ ვადაში სრულ შესაბამისობაში მოვა პროგრამა სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვებისთვის მიმართა საბჭოს. საბჭოს წევრმა, ეკა ნაცვლიშვილმა ექსპერტებს/დაწესებულებას დაუსვა დამაზუსტებელი შეკითხვა, სტრატეგიული მენეჯმენტის საბაზისო და საკვანძო საკითხებთან მიმართებით, კერძოდ, თუ იფარება მენეჯმენტის საფუძვლებით ან კიდევ სხვა კურსით, რომ თუნდაც ძველი პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი საფრთხის ქვეშ არ ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომან მამულაძემ, აღნიშნა, რომ მათ აღნიშნული სასწავლო კურსი არჩევით ბლოკში ჰქონდათ ჩასმული საბაკალავრო პროგრამაში, ხოლო სამაგისტრო პროგრამაში სტრატეგიული მენეჯმენტი ძირითად სასწავლო კურსად ჰქონდათ წარმოდგენილი. ასევე დააზუსტა, რომ საბაკალავრო პროგრამაში მათ აქვთ მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ხოლო მეოთხე კურსზე სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები არჩევით კურსებში. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამაში, სტრატეგიული მენეჯმენტი სავალდებულო კურსის სახითაა წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს პიზიციის დაფიქსირება საფუძვლებთან მიმართებაში, კერძოდ, ხომ არ იყო რაიმე ისეთი, რაც კრიტიკულად შეუსაბამო იყო.

ექსპერტმა როგორც აღნიშნა კრიტიკულ შეუსაბამობასთან მიმართებით, თუ ახალი სტანდარტით მოხდება შეფასება ნამდვილად იქნება ბევრი რამ შესაცვლელი, მაგრამ ძველი სტანდარტით მსგავსი კრიტიკული შეუსაბამისობა არ გამოვლენილა, სხვა შემთხვევაში ეს დაფიქსირებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას თუ ჰქონდათ რამის დამატების სურვილი ან თუ გააჩნდათ რაიმე კითხვა აღნიშნული საკითხის შესახებ. თავმჯდომარემ, ასევე, მიმართა განმცხადებელს, დაწესებულებასა და ექსპერტებს, სურვილის შემთხვევაში გაეკეტებინათ კომენტარი.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:55

მოეთხე საკითხის გადაწყვეტილება:
საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მოხრე - 14
წინაღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეხუთე საკითხის გადაწყვეტილება:

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „საზღვაო ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მოხრე - 14

წინაღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო აკადემიის „საზღვაო ტურიზმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

6. **მეექვსე საკითხი**: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის “ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის” საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	აკრედიტებული გადაწყვეტილება N193, 2018 წლის 5 დეკემბერი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიიცის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს, ნანი არაბულს სთხოვა მოკლე მოხსენების წარმოდგენა დასკვნასთან მიმართებაში.

ექსპერტმა ნანი არაბულმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მან წარმოადგინა თავისუფალი უნივერსიტეტის ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა. მან აღნიშნა, რომ პროგრამამ 2018 წელს გაიარა აკრედიტაცია და მიენიჭა შვიდწლიანი აკრედიტაცია შესაბამისი ანგარიშის წარდგენით. ანგარიში უნივერსიტეტმა წარადგინა 2021 წელს, ხოლო რაც შეეხება დაწესებულებაში ვიზიტს, იგი განხორციელდა სტუდენტების და კურსდამთავრებლების საერთო წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც ცენტრში იყო წარდგენილი 2022 წლის 11 მარტს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განცხადება ეხებოდა სამ საგანში ელექტროდული წრედები 1“, „ელექტრონული წრედები 2“ და ელექტრომაგნიტური სისტემებში“ სწავლებისა და შეფასების პრობლემებს. წარმოდგენილ განცხადებაში სტუდენტებს თხუთმეტი საკითხი აქვთ წარმოდგენილი, რომლიც გადამოწმებაც მოხდა არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ამ პროცესში მონაწილეობდა დარგის ექსპერტი მაქსიმ იავიჩი და სტუდენტი ექსპერტი თათია უბერი. ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნის რეკომენდაციები:

1. საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ მიეთითოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ციკლი და არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი;
2. სასწავლო კურსის „ელექტრონული წრედები 1“ პრერეკვიზიტებში დაემატოს მათლაბის ცოდნა;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სილაბუსებში მიეთითოს ყველა მასალა

რომელიც საჭიროა აღნიშნული კურსისათვის. სასწავლო კურსის „ელექტრული წრედები 1“ ახალ სილაბუსში გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს თემები;

4. შედგეს საგამოცდო ბილეთები სწავლების ენაზე შემდეგ საგნებში: ელექტრომაგნიტური სისტემები, ელექტრული წრედები 1 და ელექტრული წრედები 2.;
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ შეფასების კრიტერიუმებს 70% და 20% შორის დაემატოს შეფასებების მინიმუმ ერთი შუალედური კრიტერიუმი მაინც;
6. მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, უსდ-მ გამოიყენოს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების ფარგლებში, წარმოებდეს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, მათ შორის საჭიროებისამებრ, კოლეგიალურად აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების სააპელაციოდ განხილვა, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას და სტუდენტს აწარმოონ ეფექტიანი უკუკავშირი;
8. გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა აკადემიუმა პერსონალმა და სტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის და კურსების შეფასებაში;
9. „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწიეს სტუდენტებმა თითოეული სწავლის შედეგი და ხელს შეუწყობს პროგრამის შეფასების და მონიტორინგის პროცესს;
10. უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ შეფასდეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი და ამაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია რაც შეხება ლაბურატორული მეცადინეობას, აღნიშნული წინა შეფასების დროსაც გაცემული რეკომენდაცია იყო, რომელიც შესრულებული ჰქონდა ინსტიტუციას, მაგრამ ადგილზე ვიზიტისას გამოგზავნილ ახალ სილაბუსში არ იყო გაწერილი ეს თემატიკები. თუმცა, ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ2021 წლის სილაბუსებში იყო ეს თემატიკა გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს თხოვა პოზიციის დაფიქსირება.

დაწესბულების წარმომადგენელმა ვატო ლეჟავამ სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. ასევე აღნიშნა, რეკომენდაციებთნ მიმართებაში პოზიცია წერილობითაც აქვთ დაფიქსირებული, მას შემდეგ, რაც მიიღეს დასკვნის პროექტი. ბატონმა ვატომ აღნიშნა, სტუდენტების ჯგუფს განზრახვა, ულტიმატუმის ფორმით, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ სურდათ პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენება, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ამის შესაძლებლობა მათ არ მიეცათ, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან კვალიფიციური ადამიანია, აქტიური მეცნიერი და პედაგოგია. სტუდენტების განზრახვიდან გამომდინარე მოხდა ამგვარი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა, რასაც შემდგომ მოჰყვა დაწესებულებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. აკრედიტაციის პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებით დადებითი შეფასება დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ მისი საქმიანობა დაკავებულ აკადემიურ თანამდებობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის და პირიქით, თვლიან, რომ მისი საქმიანობა საამაყოა უნივერსიტეტისთვის. რეკორემდაციებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ცხადად გამოჩნდა გარემოებები, რომელიც გამოსასწორებელია და გაცემული რეკომენდაციები დაეხმარება პროგრამას განვითარებაში, თუმცა რამდენიმე შენიშვნა აქვთ, ზოგიერთი მათგანი

იმპლემენტაციის თვალსაზრისით რთულს ხდის რეკომენდაციების შესრულებას. მაგალითისთვის აღინიშნა, სადაც ნათქვამია, რომ პერიოდული შეფასება არის საჭირო, იქვე ნათქვამია, რომ აღნიშნულის გამოსწორების ვადები უნდა დადგინდეს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, შეუძლებელია უნივერსალურად ვადის დადგენა, იმ საკითხებისა, რომელიც ჯერ არ დამდგარა. შესაბამისად, რთულად წარმოსადგენია მათი გადმოსახედიდან ამ რეკომენდაციის შესრულება. ფორმალური თვალსაზრისით ამ ნაწილში შესაძლებელია, მაგრამ კეთილსინდისიერად, შინაარსიანად შესრულება შეუძლებელია. მეორე საკთხი რაც მათთვის და ყველა უნივერსიტეტისთვის პრობლემურია, ეს გახლავთ სტუდენტების კოლეგიალური მონაწილეობა პროგრამისა და პროფესორების შეფასებაში. ბატონმა ვატომ აღნიშნა, სემესტრის ბოლოს კითხვარის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორის შეფასება, მაგრამ მიუღებლად მიაჩნიათ, რომ პარიტეტულ საფუძვლებზე მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელის ან ლექტორის შეფასება, აღნიშნული კი ძირს უთხრის უნივერსიტეტს, რომელიც აგებულია ავტორიტეტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, დასძინა, რომ ყოველთვის მოიძებნება სტუდენტების გარკვეული ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო შეიძლება იყოს აკადემიური შედეგებით და, ამავდროულად, გამორჩეულები არიან აქტიურობით. დაწესებულება მიიჩნევს, რომ სტუდენტების მოსაზრების კოლეგიალურად შეფასება უნივერსიტეტის ფუნდამენტებისთვის ზიანის მიმყენებელია. ბატონმა ვატომ განმარტა, რომ უნივერსიტეტი არ არის ორგანიზაცია, სადაც პირდაპირი დემოკრატიიის პრინციპები ხორცილდება და ხმის მიცემით ხდება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა ან შეფასება, ასევე დასძინეს, უნივერსიტეტი არის რეპუტაციაზე და ავტორიტეტზე აგებული დაწესებულება. ბატონმა ვატომ ანკა თაბუკაშვილს გადასცა სიტყვა, რათა გარვეული საკითხები ეცნო საბჭოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, პრერეკვიზიტად მათლაბის ცოდნის დამატების საკითხთან დაკავშირებით, მათ თხოვნა ჰქონდათ, რეკომენდაცია მოდიფიცირებულიყო სხვაგვარად და თვითონ თემატიკა გაწერილი ყოფილიყო კალენდარულ გეგმაში და სილაბუსში კიდევ უფრო მკაფიოდ ყოფილიყო გამოვლენილი. ამავდროულად, დაწესებულებამ დაამატა, რომ სტუდენტების შეფასებით, მათლაბის სიღრმისეული ცოდნა არ არის აუცილებელი და ერთ-საათიანი ტრენინგი საკმარისია მასალის დასაძლევად. დამატებით, ქალბატონმა ანკამ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობასთან დაკაშვირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის, არაერთი საშუალება გააჩნიათ, რომელსაც სტუდენტებს აწვდიან რისი გამოყენებითაც შესაძლებლობა ეძლევათ კურსის ან პროგრამის შესაფასებლად. ასევე, თვლიან რომ ეს საკმაოდ მძლავრი მექანიზმია, რომელიც არაერთი აკრედიტაციისა თუ სხვადასხვა პროცესის შეფასებისას იყო გამოყენებული, ხოლო ქმედითი ღონისძიება, რაც შეიძლება რეკომენდაციის შესრულებისთვის შეიძლება გატარდეს, ინსტიტუციისთვის ბუნდოვანია. ბოლოს დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო რეკომენდაციას, რომელიც ეხება - ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ შეფასდეს თითეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და ამაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე - როგორც ბატონმა ვატომ აღნიშნა, ამის კეთილსინდისიერად შესრულება წარმოუდგენელია, პირველ რიგში იმიტომ, რომ აღნიშნული მექანიზმი არსებობს და გაწერილია სილაბუსში, როდესაც თითეულ სასწავლო კურს აქვს თავისი სასწავლო შედეგი, ეს რა თქმა უნდა გულისხმობს რომ იქ თემატიკის სწავლის შედეგებისა და კომპონენტების გაწერა ხდება, გათვალისწინებულია მიიღწევა თუ არა ამ კომპონენტის ერთობლიობაში სწავლის შედეგი. ხოლო თუ სტუდენტი წარმატებით გადალახავს შეფასების ყველა კომპონენტს და მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას ითვლება, რომ სწავლის შედეგები მიღწეულია. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულება ამ რეკომენდაციის შესრულების გზას ვერ ხედავს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის წევრს, თათია უბერს გადასცა სიტყვა.

პროცესში მონაწილე სტუდენტმა ექსპერტმა თათია უბერმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ რეკომენდაციებთაგან ერთ-ერთთან ბატონმა ვატომ აღნიშნა, რომ ფაქტობრივ უზუსტობასთან

გვაქვს საქმე. ექსპერტმა განმარტა, მათი სურვილი იყო რეკომენდაციის სახით მინიშნების გაკეთება, რაც პანელზეც, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთანაც ერთად განიხილეს, ეს იყო სააპელაციო პროცესი, რაც იყო ერთ-ერთი მწვავე საკითხი. აღნიშნულ საკითხზე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ისაუბრა პანელის ფორმატში და მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ რთული შემთხვევებისთვის არ არის გამჭირვალე შეფასების ფორმა, კრიტერიუმები და წესი, და ეს რთული შემთხვევები უნდა იყოს განხილული კოლეგიალურად, აკადემიური პერსონალის მიერ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს კოლეგიალური განხილვა დადგენილი პრაქტიკაა არაერთ საუნივერსიტეტო სივრცეში და ძალიან წარმატებით ხორცილდება, როდესაც სააპელაციოდ კოლეგიალურად განიხილება შეფასებები, მიღებული შედეგები თუ სხვადასხვა ტიპის ნამუშევრები. ქალბატონმა თათიამ დააზუსტა, რომ მხოლოდ ეს არის ამ რეკომენდაციების პათოსი და აქ სტუდენტების მიერ კოლეგიალურად აკადემიური პერსონალის შეფასება არ იგულისხმება.

ექსპერტმა ნინო არაბულმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია არასწორად იქნა აღქმული, რადგანაც პრობლემატური საკითხების დროს კოლეგიალური განხილვის პრაქტიკა უნივერისტეტს ჰქონდა, რაც გასაუბრების დროს დადასტურდა კიდევაც, უბრალოდ, მათი რეკომენდაცია იყო ის, რომ ამდაგვარი პრობლემური საკითხები, რომელიც დღეს განიხილება, კოლეგიალურად განხილულიყო დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვატო ლეჟვმ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს განმარტებისთვის და აღნიშნა, რომ განმარტების ამდაგვარი იტერპრეტაციისადმი დადებითი დამოკიდებულების ჰქონდა, და დაადასტურა, რომ პრაქტიკა ნამდვილად აქვთ აპელაციის შედეგების კოლეგიალურად განხილვის თვალსაზრისით. ასევე აღნიშნა, რომ როდესაც წერილობითი პასუხი გასცეს, მაშინ რატომ არ მოხდა ამგვარი ინტერპრეტაციის განმარტება.

ექსპერტმა, ნანი არაბულმა დაწესებულბის წარმომადგენელს აცნობა პასუხში განმარტება ამ საკითხზე ჩანაწერი აქვთ, უბრალოდ, შესაძლოა დაწესებულებას გამოეპარა აღნიშნული და ადგილი აქვს გარკვეულ გაუგებრობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს პასუხისთვის.

ექსპერტმა, თათია უბერმა დააზუსტა, რომ გარკვეული განმარტებები მითითებულია დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, საბჭო საკითხების დაზუსტებისთვის იკრიბება სვამს კითხვებს და ხდება საკითხის შესწავლა, რაც ბუნებრივი პროცესია და ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისთვის და მოუწოდა მათ კითხვა-პასუხის რეჟიმით ამოეწურათ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ კითხვა დაწესებულებასთან მიმართებაში მდგომარეობდა შემდეგში, თუკი სააპელაციო პროცედურები არსებობს და ამგვარი გამოცდილება დაწესებულებას გააჩნდა, ამ შემთხვევაში იყო თუ არა გამოყენებული და თუ იყო – სააპელაციო პროცედურა როგორ წარიმართა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ კონკრეტული განაცხადი შეფასების მხრივ მასთან არ ყოფილა, სტუდენტებს მოთხოვნა ჰქონდათ ერთხმად, რომ აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენებასთან დაკავშირებით, ულტიმატუმის გზით. ბატონი ვატო განმარტავს, რომ სტუდენტების პოზიცია იყო თუ ეს საკითხი არ დაკმაყოფილდებოდა პრობლემებს შეგვიქმნიდნენ ცენტრში. აქვე დააზუსტა, რომ არც ერთი კონკრეტული განაცხადი ნიშნის ან პროგრამის ხელმძღვანელის შეფასების ფორმატში არ ყოფილა და ეს იყო კოლექტიური განცხადება ულტიმატუმის სახით პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენების მიზნით, რაც მათ არ დააკმაყოფილეს, აღნიშნულის საპასუხოდ განმცხადებლებმა გამოიყენეს სხვა სამართლებრივი გზა ამ მიმართულებით დაწესებულებასთან კომუნიკაციისთვის.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ დაინტერესდნენ იმით, რამდენად მოდიოდა თანხვედრაში სილაბუსში არსებული შეფასების მეთოდი, ლექტორის მიერ გამოყენებულ შეფასების სისტემასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ, აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა 2018 წელს, შუალედური ანგარიში, აგრეთვე, წარდგენილი იყო 2021 წელს. შესაბამისად, არცერთი შეფასების დროს მსგავსი პრობლემა არ გამოვლენილა, ხოლო როცა ეს პრობლემური საკითხი წამოიჭრა, დაწესებულებამ რამდენიმე ფოკუს-ჯგუფის დახმარებით ჩაატარა სიღრმისეული კვლევა და არცერთ ჯგუფთან მსგავსი საკითხი არ გამოვლენილა. ბატონმა ვატომ დასძინა, რომ მან სამჯერ შესთავაზა სტუდენტებს საკითხის ირგვლივ შეხვედრა, მაგრამ არც ერთხელ გამოვლენილა მათგან მზაობა, სტუდენტებს ჰქონდათ სხვა მიზანი, რომელიც მის მხრიდან იქნა აღკვეთილი და არდაშვებული.

საბჭოს წევრი ეკა ნაცვლიშვილი მიესალმა ინსტიტუციას, ექსპერტებს და კითხვა დასვა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ კურსს გადიოდა ოცდათექვსმეტი სტუდენტი, საიდანაც თოთხმეტმა სტუდენტმა მიიღო მხოლოდ დადებითი შეფასება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორმოცდაათ პროცენტზე მეტმა ვერ ჩააბარა, სუსტი და ძლიერი ჯგუფის ფაქტორი რომ გამოირიცხოს, თუ არის ასეთი შეფასება გაკეთებული. 2018 გაიარა პროგრამამ შეფასება, და როგორი ტენდენცია არის კონკრეტულ სასწავლო კურსებში სტუდენტების უარყოფითი ან დადებითი შეფასების კუთხით. საბჭოს წევრმა იკითხა თუ რამდენი პროცენტი იღებს **A შეფასებას** და რამდენი პროცენტი ვერ აბარებს, დინამიკის ანალიზი და რაიმე ცვლილებები თუ შესულა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ, პასუხი გასცა ეკა ნაცვლიშვილის კითხვას და აღნიშნა, რომ ისინი ეტაპობრივად აკეთებენ სისტემურ ანალიზს, ხოლო კონკრეტული საკითხის ირგვლივ კომენტარის გასაკეთებლად სიტყვა გადასცა ანკა თაბუკაშვილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა, აღნიშნა ეკა ნაცვლიშვილის კითხვის პასუხად, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსების ნიშნების სტატისტიკა მიაწოდეს ექსპერტთა ჯგუფს, ასევე დასძინა, სტატისტიკის კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს დაწესებულებაში და ამის საფუძველზე ახდენენ ანალიზს, დადგენილი მექანიზმების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, ეკა ნაცვლიშვილმა, იკითხა ბოლო 3 წლის განმავლობაში 10% მაინც თუ ყოფილა უარყოფითი შეფასებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ, დაადასტურა რომ 10%-ზე მეტია მაჩვენებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა, რომ სტუდენტების მიერ გაჟღერებულ ბრალდებასაც გაესვა ხაზი, თითქოსდა პროგრამის ხელმძღვანელის საგნების გამო ვერ ასრულებენ სტუდენტები სწავლას, ეს დაწესებულებამ შეისწავლა და თითოეული სტუდენტის შემთხვევა გამოიკვლია, შედეგად ეს ბრალდება არ დადასტურდა დაწესებულების კვლევის შედეგად, ვინაიდან ასეთი მხოლოდ ერთი სტუდენტი იყო აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელიც ეხებოდა სტუდენტების მონაწილეობას სწავლების შედეგების შეფასებაში. ქალბატონმა ირინამ აღნიშნა, რომ დოკუმენტებით დგინდება რომ სტუდენტებს ყოველსემესტრული აღნიშვნის მიუხედავად, არანაირი რეაგირება არ ყოფილა დაწესებულების მხრიდან. საბჭოს წევრმა იკითხა ხარისხის სამსახურს, ამ მხრივმ რა თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს და თვითონ მექანიზმი როგორ მოქმედებს დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, ეს შემთხვევა არ ეფუძნება ერთ კონკრეტულ საკითხს, რომ რომელიმე სტუდენტი აპროტესტებდეს გარკვეულ საკითხებს, ეს არის მიზანმიმართული, რომ ვახტანგ ჯანდიერი არ იყოს პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტს, დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებაზე, ჩატარდა თუ არა ადგილზე და შეხვდნენ თუ არა სტუდენტებს.

ექსპერტმა ნანი არაბულმა, როგორც აღნიშნა ვიზიტი განახორციელეს ადგილზე, დაწესებულებაში შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენელთან, ხოლო ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე მათ შეხვედრა ჰქონდათ სტუდენტებთან ონლაინ რეჟიმში. სადაც საკმაოდ ბევრი სტუდენტი ესწრებოდა. ექსპერტმა დაამატა, რომ სტუდენტები, ძირითადად, აპელირებდნენ სწავლის მეთოდებსა და შეფასებაზე, ხოლო როდესაც ექსპერტებმა კითხვა დაუსვეს სილაბუსით შეფასება მათთვის მისაღები იყო თუ არა, მათ თანხმობა განაცხადეს და დასძინეს რომ რეალურად სილაბუსის მიხედვით შეფასება არ ხდებოდა. საბოლოოდ, როცა უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით არ გადადგა ქმედითი ნაბიჯი მათ საერთო განცხადებით მიმართეს ცენტრს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ცენტრის წარმომადგენელს სტუდენტებთან მიმართებით, კერძოდ, სტუდენტებს ჰქონდათ თუ არა სურვილი დასწრებოდნენ ან არ დასწრებოდნენ შეხვედრას.

ცენტრის წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ, აღნიშნა სტუდენტებს გაეგზავნათ ინფორმაცია შეხვედრასთან დაკავშირებით, ასევე ეცნობათ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაზეც, თუმცა მათი მხრიდან მზაობა შეხვედრაზე დასწრების არ გამოვლენილა, მიზეზი კი, როგორც აღნიშნა, მისთვის უცნობია.

საბჭოს წევრი, დავით ჩოჩიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკითხი, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა მისთვისაც ფაქიზი და სენსიტიური იყო. ასევე დასძინა რომ ის გაეცნო ინსტიტუციის წერილობით პასუხს და ათ-გვერდიან წერილში ვერც ერთი სიტყვა ვერ ამოიკითხა სტუდენტების მხარდასაჭერი. ბატონმა დავითმა დასვა კითხვა, თუ იყო რაიმე მცდელობა დაწესებულების მხრიდან, რომ ერთ პუნქტში მაინც მოეძებნათ სტუდენტების გამართლება და ეს ასახულიყო წერილშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, მას ჰქონდა დაუყოვნებელი წერილობითი კომუნიკაცია სტუდენტებთან, მაგრამ მათი მხრიდან არ გამოვლენილა დიალოგისადმი მისწრაფება, პირიქით ულტიმატუმის ენით იყო საუბარი.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დააზუსტა კითხვა და აღნიშნა, რომ სტუდენტების მოთხოვნაა, რომ ლექტორმა შეაფასოს სილაბუსში არსებული შეფასების მეთოდებით და არ მოდიოდეს ცდომილებაში ლექტორის მიერ გამოყენებულ შეფასების მეთოდთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ მსგავსი საკითხის არსებობის შემთხვევაში გამოვლინდებოდა და რეკომენდაციებში აისახებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა ამ ფაქტს სტუდენტების ბრალდება უწოდა.

ექსპერტმა, ნინო არაბულმა შეფასებებთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა შეცვლილია გაზაფხულის სემესტრში, მაგრამ სტუდენტების განცხადება უფრო მეტად ეხებოდა შემოდგომის სემესტრს და აღნიშნავდნენ, რომ არ ხდებოდა შუალედური შეფასება, და, ძირითადად, იყო მაღალი ან დაბალი შეფასება წარმოდგენილი. აღნიშნული გადამოწმდა და დასტურდება ექსპერტების მიერ. ახალ სილაბუსებში შეცვლილია შეფასების ნაწილი და უკვე ხორციელდება პროცენტულად, მაგრამ ექსპერტები მაინც თვლიან, რომ 20%-სა და 70%-ს შორის დიდი დაშორებაა და საჭიროა, მათ შორის, კიდევ ერთი კრიტერიუმის დამატება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტისას, ხარისხის სამსახურმა როგორც აღნიშნა, ისინი ახორციელებენ პროგრამის შედეგების ანალიზს და არა საგანში მიღებული შედეგების ანალიზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, ძალიან დელიკატური საკითხია და ზღვარი გადის პროფესორის ავტონომიასა და ამოცანებს შორის. ასევე, დასძინა, რომ მას შემდეგ რაც სტუდენტების უკმაყოფილებაზე შეიტყვეს, აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს პროფესორთან და მისცეს რჩევა, რომელიც პროფესორმა გაითვალისწინა. რჩევა ეხებოდა იმას, რომ დაემატებინა კიდევ ერთი საფეხური.

ტექნიკური ხარვეზის გამო ბატონი ვატო ლეჟავას სიტყვა გაწყდა და გაითიშა საბჭოს სხდომიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა, განაგრძო დაწესებულების პოზიციის წარმოდგენა და სწავლის შედეგებთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა მათ აქვთ, მათი სილაბუსი ისეა აგებული, რომ სემესტრის ბოლოს დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში იგულისხმება სწავლის შედეგის მიღწევა.

ექსპერტმა, მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, ზოგ შემთხვევაში ლექტორი უწერს შუალედურ ქულას, ხოლო ზოგ შემთხვევაში არა. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა კითხვა დაუსვა პროგრამის ხელმძღვანელს, რაზეც მან აღნიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში სტუდენტები წარმოადგენენ სასკოლო დონეს, რასაც არ უთვლის, ხოლო იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენენ იმ მასალას, რომელიც მან ასწავლა იმას აფასებდა შუალედური ქულით. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალედ და დეტალურად შეთავაზება სტუდენტებისთვის, რომ მერე რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომ დაეზუსტებინა როდესაც სტუდენტები მივიდნენ მათთან წუხილით, რა ღონისძიებები გაატარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ შესთავაზეს შეხვედრა და ამასთან დაკავშირებით მიიღეს ცალსახა უარი. შემდგომ, სტუდენტთა ჯგუფებში იმსჯელეს აღნიშნული საკითხის, ამის შედეგად მოახდინეს სილაბუსებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მოახდინეს ნაწილობრივი შეფასების მეტად გამოკვეთა, მოხდა სხვადასხვა მიმართულებით თემატიკის გადახედვა, ასევე აღნიშნა, რომ ეს ზომები დაწესებულებაში გატარდა ექსპერტების ვიზიტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა, იმის შესახებ, რომ სტუდენტების განცხადებაში მოყვანილი გარემოებები დადასტურდა და მას შემდგომ დაწესებულებამ გაატარა რიგი ღონისძიებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ ეს არ დაადასტურა და განხორციელებული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კი ფოკუს-ჯგუფების მიერ გაკეთებულ ანალიზიდან გამომდინარე განახორციიელა დაწესებულებამ.

ექსპერტმა ნინო არაბულმა აღნიშნა, რომ მას შეუძლია წარმოადგინოს ძველი სილაბუსი, სადაც ნაჩვენები იქნება თუ როგორ არის ოთხ-ქულიანი ამოცანის შეფასების კრიტერიუმი ჩაშლილი დეტალურად, შესაბამისად, ლექტორს არ ჰქონდა მხოლოდ უმაღლესი შეფასება და ნოლი. ლექტორს ჰქონდა ნაწილობრივი შეფასებებიც თითო-თითო ბიჯით. შესაბამისად, სტუდენტებმა აღნიშნეს ის, რომ ჯგუფის ნაწილს ეწერებოდათ დანარჩენ ნაწილს არ ეწერებოდათ ეს ნაწილობრივი შეფასების ქულა. ფოკუს ჯგუფებში განხილვის შემდეგ შეფასება პროცენტული გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ ჩაშლა უფრო შემცირდა.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა იმის შესახებ, რამდენად ასრულებდა ლექტორი მის მიერ სილაბუსით გაწერილ შეფასების კრიტერიუმებს.

ექსპერტმა, ნინო არაბულმა დააზუსტა, რომ იყო გარკვეული შემთხვევები, როდესაც არ ახორციელებდა შეფასებას სილაბუსში გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ როგორც აღნიშნა შეფასებაში სასწავლო კურსის ავტორი მიჰყვება სილაბუსით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, მაგრამ არ იყენებს შეფასების ყველა გრადაციას, რაც მისი გადაწყვეტილებაა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა კითხვით, ისინი იზიარებდნენ თუ არა სტუდენტების პოზიციას, და თუ იზიარებდნენ თუ რა ნაწილში იზიარებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ სტუდენტების ამ ჯგუფის მოტივი იყო, ვახტან ჯანდიერის დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლება. რაც შეეხება ექსპერტთა დასმულ რეკომენდაციებს, ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან სასარგებლოდ მიიჩნიეს, ზოგ შემთხვევაში განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ. ასევე აღინიშნა, რომ მსჯელობებიდან გამომდინარე საკითხი უფრო მეტად ეხებოდა სილაბუსებს და არის ტექნიკური ხასიათის.

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს მარინა ქარჩავას და ითხოვა დაწესებულების პოზიცის დაზუსტება იმის შესახებ, რომ მათ

მანამდე აღნიშნეს, ეს სასწავლო კურსი არ იძლევა შეფასების გრადაციის საშუალებას, მაგრამ საგნის წინა კურსებთან მიმართებით ითქვა, რომ ეს ჰქონდათ ჩაშლილი. დაზუსტებისთვის საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა , აქვს თუ არ აქვს სასწავლო კურსს გრადაციის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა კაჭარავამ როგორც აღნიშნა, რთულია ჩაშლა გრადაციის, მაგრამ ძალიან რთულად შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კომენტარის სახით აღნიშნა, რომ შეფასების ნაწილი პროფესორის გადასაწყვეტია თუ როგორ შეაფასებს, მაგრამ იმ ნაწილში, მან პასუხი ვერ მიიღო თუ რატომ მოუნდა ამდენ სტუდენტს პროგრამის ხელმძღვანელის გადაყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ აღნიშნა, პროგრამას მანამდე ჰქონდა ორჯერ გავლილი აკრედიტაცია, ასევე შუალედური მონიტორინგიც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რამდენიმე სტუდენტის ერთობლივი განცხადება ვერ იქნება არგუმენტიირებული საფუძველი დაწესებულების მიმართ ულტიმატუმების წამოყენების. დაწესებულებას აქვს ავტონომია, რომელიც ვრცელდება პროფესორზეც დაწესებულებაში და, შესაბამისად, ვერავინ ჩაერევა პროფესორის ავტონომიაში და ვერ მიუთითებს რაიმე მოქმედების შეცვლისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს თუ განცხადების ავტორებიდან რამდენმა სტუდენტმა ვერ ჩააბარა წარმოდგენილი სასწავლო კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ დაზუსტებით არ იციან რამდენი ადამიანის განცხადება არის შესული ცენტრში, ეს მათთვის გაზიარებული არ არის, მაგრამ სულ ხუთ სტუდენტთან ჰქონდათ კომუნიკაცია.

ექსპერტმა ნანი არაბულმა როგორც აღნიშნა ჯგუფურ განცხადებას ხელს ორმოცდასამი სტუდენტი აწერს, საიდანაც ზოგი კურსდამთავრებულია, ზოგს ჩაბარებული აქვს და ზოგმაც ვერ ჩაბარა აღნიშნული საგანი.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 18:27

დასრულების დრო: 19:33

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის პერიოდში ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხერვეზების გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -14

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

რეკომენდაციები

1. საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში“ მიეთითოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ციკლი და არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი.
2. სასწავლო კურსის „ელექტრონული წრედები 1“ პრერეკვიზიტებში დაემატოს მათლაბის ცოდნა.

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სილაბუსებში მიეთითოს ყველა მასალა რომელიც საჭიროა აღნიშნული კურსისათვის. სასწავლო კურსის „ელექტრული წრედები 1“ ახალ სილაბუსში გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს თემები.
4. შედგეს საგამოცდო ბილეთები სწავლების ენაზე შემდეგ საგნებში: ელექტრომაგნიტური სისტემები, ელექტრული წრედები 1 და ელექტრული წრედები 2.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ შეფასების კრიტერიუმებს 70% და 20% შორის დაემატოს შეფასებების მინიმუმ ერთი შუალედური კრიტერიუმი მაინც.
6. ·მიზანშეწონილია სასწავლო კურსებში: „ელექტრული წრედები 1“, „ელექტრული წრედები 2“, „ელექტრომაგნიტური სისტემები“ სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, უსდ-მ გამოიყენოს შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელების ფარგლებში, წარმოებდეს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, მათ შორის საჭიროებისამებრ, კოლეგიალურად აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების სააპელაციოდ განხილვა, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას და სტუდენტს აწარმოონ ეფექტიანი უკუკავშირი.
8. გატარდეს ქმედითი ღონისძიებები რათა აკადემიუმა პერსონალმა და სტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროგრამის და კურსების შეფასებაში
9. „ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწიეს სტუდენტებმა თითოეული სწავლის შედეგი და ხელს შეუწყობს პროგრამის შეფასების და მონიტორინგის პროცესს;

1. უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ შეფასდეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი და ამაში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე.

რჩევები:

1. სასურველია უსდ-მ დროულად დაიწყოს მუშაობა საბაკალავრო პროგრამის შედეგების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №69/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთან შესაბამისობაში მოყვანასთან, რათა გაადვილდეს სწავლის შედეგების შეფასების განხორციელება ყოველი საგნის სწავლის შედეგების მიღწევადობის დონის მიხედვით;
2. სასურველია უსდ-მ შექმნას პროგრამის მონიტორინგის პროცესი აკადემიური პროგრამის კოლეგიალური შეფასების განხორციელების გზით.

7. **მეშვიდე საკითხი** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 16 ივლისის N718759, სხდომის ოქმის N06 ნაწილი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი მეტალურგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 მექანიკა და ლითონის საქმე,
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

8. მერვე საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 2021 წლის 14 ივლისის N 709345
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		მეტალურგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

მეშვიდე და მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიიცის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა წარმოედგინა ორივე პროგრამასთან მიმართებით მოკლე მოხსენება.

ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიეასალმა დამსწრეებს, როგორც აღნიშნა წარმოდგენილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ეხება ორ პროგრამას, ერთი არის მეტალურგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მეორე –მეტალურგიის სადოქტორო პროგრამა. პირველი სტანდარტი და მეორე სტანდარტი იყო შესაბამისობაში. პირველ სტანდარტში გაცემული იყო რჩევა, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტზე იყო გაცემული რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა 2.3 სტანდარტს. ორი სამი ქვესტანდარტს, სასწავლო კურსი ლითონების წნევით დამუშავება თავისუფალი კომპონენტიდან გადატანილ იქნას სპეციალობის სავალდებულო კურსებში. აღნიშნულთან მიმართებით დაწესებულებამ მოახდინა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და რეკომენდაცია შეასრულა. შემდეგი რეკომენდაცია გაცემულია პროგრამის კურსებთან მიმართებით, სადაც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კურსების შინაარსი კურსების სახელწოდებასთან, სოციოლოგიის შესავალი, პოლიტიკის საფუძველები და ფილოსოფიის საფუძველები. ამ რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტი როგორც ექსპერტი აღნიშნავს, რეკომენდაცია არ არის შესრულებული გამომდინარე იქიდან, რომ სილაბუსები წარმოდგენილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა სილაბუსის გამოთხოვის, სილაბუსი ვერ გამოითხოვა, რადგანაც დაწესებულებაში მისი განახლების პროცესი მიმდინარეობდა.

მესამე რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსს მენეჯმენტი და მარკეტინგი, რომელიც უნდა შეიცვალოს რელევანტური კურსით მენეჯმენტის საფუძვლებით, მარკეტინგის საფუძვლებით. ამ რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა რომ შესრულებულია. მას სილაბუსი არ გამოუთხოვია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ის არ არის დარგის სპეციალისტი და ვერ შეაფასებდა სათანადოდ. მეოთხე რეკომენდაცია ეხება ზოგიერთ სილაბუსში სასწავლო კურსების შინაარსობრივ მხარეს, რაც გულისხმობს დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასების მინიმალურ ზღვარის გაზრდას. ცვლილება წარმატებით განხორციელდა ოთხ სილაბუსში,

მინიმალური ზღვარი 10 ქულიდან 21 ქულამდე გაიზარდა. ეხება დასკვნითი გამოცდის მინიმალურის ზღვარის გაზრდას.

მეხუთე რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსებში შეფასების სწავლის მეთოდების დაზუსტებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენლილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია შეასრულა.

მექსვსე და მეშვიდე რეკომენდაცია შინარსობრივად ერთმანეთს მოიცავს. იგი ეხება მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებას და ბიუჯეტში თანხების მობილიზებას. ექსპერტმა, როგორც აღნიშნა, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია გაცემულია 2021 წლის 2 ივლისს. ორიათას ოცდაერთი წლის ორი ივლისის დოკუმენტებით კი დადგინდა, რომ დაწესებულებამ საკითხი განხილვა მოახდინა თერთმეტი (11) თვის დაგვიანებით და აღნიშნულიდან გამომდინარე, წინა წლის ბიუჯეტში აღნიშნული თანხის მობილიზება ვერ მოხდებოდა. მერვე რეკომენდაცია არის შესრულებული. ის ეხებოდა შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმებს. და წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან გამომდინარე ჩანს, რომ პროგრამა სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

მეცხრე რეკომენდაცია ეხება პროგრამის შედარებასა და დადარებას ანალოგებთან. დაწესებულებისა თქმით როგორც აღნიშნავდა მათი პროგრამა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ექპერტის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ ბაკალავრიატის საფეხური უმაღლესი განათლების საფუძველია, შესაბამისად, პროგრამაზე საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა და სხვ. ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს კრედიტების მნიშნელოვან აცდენაზე და აღნიშნავს, რომ ამერიკულ უნივერსიტეტში აღნიშნულ საგნებს 4-ჯერ მეტი კრედიტი ენიჭება. ზემოჩამოთვლილიდან გამომდინარე, ექსპერტმა მეცხრე რეკომენდაცია არ ჩათვალა შესრულებულად. წარმოდგენილი დოკუმენტებით მართლაც არის დადარებული სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამებთან, მაგრამ გამოვლინდა ის გარემოება, რომ საგნები, რომლებიც გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატზე საფუძვლიანი ცოდნის მიღების კუთხით კრედიტულად საგრძნობლად შემცირებულია. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება შესრულებულად.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს, და დაწესებულებას გადასცა სიტყვა პოზიციის დასაფიქსირებლად.

დაწესებულების წამომადგენელმა მიხეილ მახვილაძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის და სთხოვა ფაკულტეტს დაეფიქსირებინა პოზიცია.

ფაკულტეტის წარმომადგენელმა მამუკა მაისურაძემ სიტყვა დაიწყო მისალმებით. მადლობა მოახსენა საბჭოს ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ის ისაუბრებდა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც ექსპერტმა შეუსრულებლად მიიჩნია. როგორც მამუკა მაისურაძემ აღნიშნა, თავისუფალ კომპონენტებთან მიმართებაში ტექნიკური ხარვეზები აქვთ, თუმცა რეკომენდაცია რეალურად შესრულებულია. ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რეალურად კი რეკომენდაცია შესრულებული აქვთ. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხს, როგორც დაწესებულებამ აღნიშნა ერთ წელიწადში შეუძლებელია საჭირო რესურსების მობილიზება. მზაობა გამოთქვა ექსპერტების ვიზიტისას, მაგრამ მოდერნიზაცია უცებ ვერ მოახდინეს. შესაბამისად, უკვე დაწყებული აქვთ ამ კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადაგმა, რისი დასტურიც არის აგვისტოში გამოცხადებული ტენდერი, ასევე აღნიშნა, რომ მათ დასკვნის სახით წარმოდგენილი ჰქონდათ გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება სრული მოდერნიზება. დადარების დოკუმენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ შექმნილი ჰქონდათ დადარების დოკუმენტი და წარადგინეს კიდევაც. დოკუმენტი შეადარეს ამერიკისა და ავსტრიის წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამებს, და აღნიშნა, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტებში ძირითადი საგნები პროგრამულად ისე ისწავლება, როგორც მათ პროგრამაში აქვთ გაწერილი. მისი თქმით, პროგრამა მორგებულია ადგილობრივ ბაზარს და, ამ მხრივ, უპირატესი პოზიცია უჭირავთ. მ კუთხით მათ უპირატესობაც კი აქვთ სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაშიც კი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ როგორც აღნიშნა ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, უბრალოდ, გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზებს.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს კითხვებისთვის, საბჭოს დამატებითი კითხვები არ ჰქონია, შესაბამისად საბჭო გადავიდა სადოქტორო პროგრამის განხილვაზე.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე რეკომენდაციების სახით გაცემულია თორმეტი რეკომენდაცია და შვიდი რჩევა. საიდანაც ორი ნაწილობრივ შესრულებულია, სამი არ არის შესრულებული და სამი რჩევა არ არის გათვალისწინებული.

ნაწილობრივი შესრულება ეხება მესამე რეკომენდაციას, სადაც წერია, რომ რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო, კვალიფიკაცის ჩარჩო, სადაც უნდა ეწეროს აპლიკანტის განათლებასთან დაკავშირებული ხარისხის საკითხი. აღნიშნული ნაწილობრივადაა შესრულებული. კვალიფიკაციათა ჩარჩოში კოდები მოცემული გვაქვს, თუმცა მიღების წინაპირობად მხოლოდ გასაუბრებაა განსაზღვრული, რაც არაა საკმარისი და მინიმუმ აპლიკანტს გამოცდა მაინც უნდა ჰქონდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობად.

მეორე ნაწილობრივი შესრულება ეხება ინტერდისიპლინური კვლევისთვის მეტალურგიული პროცესის მოდელირებას სრულფასოვნად შესწავლისათვის სასწავლო პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებულ სემინარები და არჩევითი კურსები. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებულად ჩათვლა შესაძლებელია. ექსპერტის თქმით, მატემატიკის სილაბუსების შესწავლისას ისეთ საკითხებს შეხვდა, რომლებსაც სტუდენტი არცერთ საფეხურზე არ სწავლობს, ამიტომ ექსპერტმა რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია. უბრალოდ, აქ ერთი საკითხია რომელიც მათემატიკის კურს ეხება არცერთ საფეხურზე არ ისწავლება მაგრამ ამ პროგრამაში სწავლების ამ ეტაპზე შემოტანილია. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის ნაწილობრივი შესრულება აქედან გამომდინარეობს.

არ შესრულებული მეექვსე რეკომენდაცია ეხება სადისერტაციო ნაშრომებს, ექსპერტის აზრით, სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების შესრულებისას აუცილებელია სტუდენტებმა გამოიყენონ უახლესი ლიტერატურა. ანგარიშში აღნიშნული პირობები, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს დაწერილი სამეცნიერო სტატია, რომელიც უნდა იყოს გამოქვეყნებული გუგლ სქოლარის (Google Scholar) საიტზე, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სადისერტაციო ნაშრომებში ახალი ლიტერატურა მოხვდება.

კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომების შერულების დროს გამოყენებულ იქნეს უახლესი ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ანგარიში ეს საკითხზე მაინც არ არის საკმარისად აღქმული და არსებობს ალბათობა იმისა, რომ ნაშრომში მოხდება მოძველებული ლიტერატურის გამოყენება. მერვე შეუსრულებული რეკომენდაცია შინაარსობრივად თახვედრაშია მეექვსე არ შესრულებულ რეკომენდაციასთან. ექსპერტი მიანიშნებს უცხოენოვანი ლიტერატურის ინტეგრირების საჭიროებას კვლევით პროცესში. ექსპერტი დაწესებულებისაგან ელოდებოდა რაიმე დამადასტურებელ დოკუმენტს, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ ისინი კვლევის პროცესში ახალ, უცხოურ ლიტერატურას იყენებენ. შესაბამისად, ექსპერტმა რეკომენდაცია შეუსრულებლად მიიჩნია. კერძოდ, კვლევით ნაწილში უცხოენოვანი წყაროების ინტეგრირებაზე, არგუმენტაცია ამ საკითხთან მიმართებით, რომ იქნება ახალი უცხოური წყაროები გამოყენებული ექსპერტმა ვერსად დაინახა და გასცა ეს რეკომენდაცია. მეცხრე რეკომენდაცია ეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მსგავსად საბაკალავრო პროგრამისა. ანალოგიურად როგორც საბაკალავრო პროგრამის განხილვისას იყო. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯი ეხებოდა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენას, ამ მიზნით გამოიყო 4658, თუმცა ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ ნამდვილად შეიძინა მანქანა-დანადგარები ოფიციალური დოკუმენტებით არ დასტურდება, ამიტომ ექსპერტმა რეკომენდაცია შეუსრულებლად მიჩნია. თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეული ოდენობის თანხა გამოყოფილი იყო ბიუჯეტში, მაგრამ დოკუმენტი იმის შესახებ, რომ მანქანა დანადგარი ან სხვა სახის ინვენტარის შესყიდვა მოხდა არ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების მიერ. სხვა რეკომენდაციები კი შესრულებულია.

რაც შეეხება მე-10 და მე-11 რეკომენდაციებს ექსპერტის აზრით შესრულებულია.

სხდომის თავჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტს მათემატიკის სწავლების საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტმა აღნიშნა რომ უცხოური პროგრამით გათვალისწინებული მათემატიკის სწავლების მოცულობა არ შეესაბამება ამ პროგრამაში წარმოდგენილ მოცულობას.

სხდომის თავჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტს პუბლიკაციების საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დებულებით გაწერილია სადისერტაციო ნაშრომთან მიმართებით ლიტერატურის საკითხი, მიუხედავად ამისა რამდენიმე ნაშრომში მაინც იყო მოძველებული ლიტერატურა გამოყენებული.

მაკა კაჭარავა მიესალმა ინსტიტუციას და ექსპერტებს, კითხვა დასვა რეკომენდაციის საფუძველთან დაკავშირებით, კერძოდ, ექსპერტს ჰკითხა ნახა თუ არა საანგარიშო პერიოდში შესრულებილი სადისერტაციო ნაშრომი.

ექსპერტმა როგორც აღნიშნა ერთი წლის განმავლობაში სადისერტაციო ნაშრომი არ დაცულა.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის, ამავე დროს კომენტარები გააკეთა რეკომენდაციებთნ მიმართებით. ხაზი გაუსვა გარემოებას რეკომენდაციებთან მიმართებით, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყიდვისა და განახლების შესახებ. რეკომენდაცია არ იყო გაცემული. ყველამ იცოდა ვითარება, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ერთიანად სისტემის მოდერნიზების შესაძლებლობა არ აქვს, ეტაპობრივად კი წელიწადსა და რვა თვის განმავლობაში თხუთმეტ მილიონ ლარზე მეტი აქვთ გახარჯული ამ კუთხით გადადგმული ქმედითი ნაბიჯების განხორციელებისთვის. საუბარი იყო რეკომენდაციაში მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების გეგმის შედგენაზე, რომელიც შემდგომ ბიუჯეტში უნდა გათვალისწინებულიყო. სამეცნიერო ლიტერატურასთან მიმართებით კი აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ ისინი თავის დოქტორანტებს განუმარტავენ ძირითად ლიტერატურასთან ერთად გამოიყენონ ახალი უახლესი ლიტერატურაც, შეიძლება ძველიც გამოიყენოს რომელიც აქტიური, ვალიდური, და რელევანტურია საკითხთან მიმართებით.

დოქტორანტურის შესახებ დებულებაში წერია მითითება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ლიტერატურა იყოს გამოყენებული, მაგრამ დოქტორანტი რას შეიტანს ნაშრომში ეს მისი და ხელმძღვანელის გადასაწყვეტია და შემდგომ ფილტრაცია როგორც მოხდება ეს სხვა საკითხია. ამ მიმართულებითაც გამართა ბაზები ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, კერძოდ, სადისერტაციო საბჭოს დებულება და სისტემა შეიცვალა სრულყოფილად, დამატებითი განაწესები ჩაიდო. შესაბამისად, დებულებაში ვერ ჩაიწერება მხოლოდ ახალი ლიტერატურა, რადგან კვლევა ინდივიდაულურია თავისი მიზნებიდან გამომდინარე.

დაწესებულებამ განსაზღვრა სფეროები 05 და 07 საინჟინრო მიმართულება და საბუნებისმეტყველო ზუსტი მეცნიერებების მიმართულება. მათემატიკასთან გაკეთებულ აქცენტთან მიმართებით აღინიშნა, რომ დოქტორანტურა არის სწავლების ის საფეხური, სადაც ყველაფერი ამოწურვადია, უბრალოდ, მათ დაშვების წინაპირობად უდევთ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი. სადაც დოქტორატი ასაბუთებს თუ რა მიმართულებით, როგორ სიღრმისეულ კველვას ჩაატარებს და წარუდგენს კომისიასმათემატიკის ცოდნა იქნება წინაპირობა საინჟინრო მიმართულებისთვის, თუ ამას აქვს კავშირი საკვლევ თემატიკასთან. შესაბამისად, 05 მიმართულების მთლიანად ამოღება მათთვის მიუღებელია.

რაც შეეხება სემინარის და არჩევითი კურსის საკითხს დაწესებულებამ ეს სრულყოფილად გაიზიარა. არცერთი რჩევა არცერთი რეკომენდაცია უნივერსიტეტის მხრიდან შეუსრულებელი არ დარჩენილა.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს მოხსენებისთვის, და სთხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ დაუსვა კითხვა ექსპერტებს, ექსპერტთან მიმართებაში შესრულებულია თუ არა ის რეკომენდაცია რომ პუბლიკაცია უნდა იყოს გამოქვეყნებული Web

of Science და სკოპუსი (Scopus) ინდექსირებულ ჟურნალებში, ეს მოთხოვნა თუ არის შესრულებული და თუ არ არის შესრულებული თვლიდნენ თუ არა, რომ ეს რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო ამ სახით.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი რეკომენდაცია არის მეშვიდე და ჩამოყალიბებულია შემდეგი მოცემულობით: რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში სკოპუსი (Scopus), ვებოვსაიენსი (Web of Science) და ინდექსირებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება. ეს მოთხოვნა დებულებაში წერია, რომლის მოთხოვნაც ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა. სამიდან ერთში თუ გამოაქვეყნა მაშინ მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგინიძემ კითხვა დასვა ბიუჯეტთან დაკავშირებით, საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით ერთი ეხებოდა მატერიალური ბაზის განახლებას, მოდერნიზებას. მეორე რეკომენდაცია კი ეხებოდა ბიუჯეტის ნაწილში გასათვალისიწენებელი რესურსების საკითხს. ეს გახლდათ 2021 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება. 2022 წლის 6 ივნისს შედგა გარკვეული სხდომა უნივერსიტეტში, სადაც გადაწყვიტეს, რომ შევიდეს 2022-23 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება იყო 2021 წლიის 5 ივლისს და თუ ერთი წლის თავზე შედგა ეს სხდომა მაშინვე რატომ არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

მეორე კითხვა ნათია ზედგინიძემ დასვა სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით, სადაც უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და მასში იყოს გათვალისწინებული ფინანსური საკითხი.

ექსპერტმა ნათია ზედგინიძეს დაუდასტურა ის გარემოება, რომ მან ნახა დოკუმენტი, რომელიც იყო გეგმის სახით შემუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ზედგინიძის პირველ კითხვასთან მიმართებაში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს გეგმა, და პარალელურად მუშაობენ ინგლისურენოვან პროგრამაზე, სადაც ყოველივე ზემოაღნიშნული იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგინიძემ დასვა კითხვა სადოქტორო პროგრამაზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა თუ არა დისერტაციის დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტენსიურ რეჟიმში მუშაობენ ამ საკითხებზე და პირადად დავით მახვილაძემ არაერთ დეპარტამენტთან ჩაატარა ორდღიანი ვორქშოპები საკითხის სრულად ათვისების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადა სათათბირო შევენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:44
მეშვიდე საკითხის გადაწყვეტილება
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგის საგანამანათლებლო საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
მოწინააღმდეგე- 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, მიღებულ იქნა ცნობად.

მერვე საკითხის გადაწყვეტილება:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგის სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
მოწინააღმდეგე- 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეტალურგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, მიღებულ იქნა ცნობად.

9. **მეცხრე საკითხი** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 45 (20.03.2020).
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჩერქეზიშვილის #1, გორი, სასწავლო კორპუსი #3, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიიცის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ თხოვა ექსპერტს ქალბატონ ეკა ლეკაშვილს მოხსენების წარმოდგენა.

ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ჩამოთვალა საკითხები, რომლებსაც განიხილავდა და ის მიგნებები, რომელიც შეფასების პროცესში გამოვლინდა. როგორც ცნობილია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროს კლასიფიკატორთან მიმართებით მათ განიხილეს: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. წარმოდგენილი იყო ის ფორმები, რომელიც ზოგადად მოთხოვნილია მარეგულირებლის მიხედვით, თუმცა უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია. მიუხედავად ამისა, საკითხების შესწავლის შედეგად, შეფასების მიზნით საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, რასაც გარკვეული დრო დასჭირდა, თუმცა დაწესებულებაში არსებულ სტუაციის შესწავლა მოხდა დეტალურად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები არ შეცვლილა, თუმცა მისი ფორმულირება განახლდა, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რასაც გვთავაზობს სტანდარტი. ასევე შედეგები ჩამოყალიბდა სავალდებულო კომპონენტების საფუძველზე , რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მოცემული ანგარიში გადამოწმებულია მათ მიერ. მიუხედავად ამისა გაიცა სამი რეკომენდაცია, რომლის წარდგენა დასკვნის სახით და შემდგომ უკვე უნივერსიტეტიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მათ გადაწყვეტილებები შეცვალეს, აღნიშნული 3 რეკომენდაცია ეხებოდა სავლდებულო ლიტერატურის კომპონენტს, მის განახლებას, ან დამატებით ლიტერატურაში გადატანას, ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიც იყო: ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, განათლების ეკონომიკა, ეკონომეტრიკა, სოციალური ეკონომიკა, სოციალური საფუძვლები, შრომის ეკონომიკა წერითი და ზეპირი კომუნიკაცია. როდესაც უნივერსიტეტის მხრიდან მოხდა უკუკავშირის დაბრუნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მას მოჰყვა ჩასწორებული სილაბუსები, უნივერსიტეტმა რეალურად ინტენსიურად იმუშავა, რომ მათი თვალსაზრისი მყისიერად ასახულიყო ამ მიმართულებით, რის საფუძველზედაც ეს რეკომენდაცია მოიხსნა საბოლოო დასკვნის ეტაპზე. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის ობიექტებს, სადაც იყო შემთხვევა, როდესაც ერთ მემორანდუმს ვადა ჰქონდა გასული, ხოლო მეორეში არ იყო სათანადოდ პრაქტიკის ობიექტზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის საფუძველზე, უკვე უკუკავშირისას უნივერსიტეტმა წარმოადგინა 5 განახლებული მემორანდუმი, მათ შორის ზოგიერთში იყო რაოდენობა მითითებული. მაგრამ მათ დაინახეს, რომ დაწესებულებამ გამოხატა მოცემული მიმართულებით მუშაობის მზაობა, რაც იმას ნიშნავს რომ მათ გაიზიარეს და გაითვალისწინეს რეკომენდაცია და პირველი ნაბიჯი გადადგა მათ შესასრულებლად და, შესაბამისად, მათ გადაიტანეს რჩევაში. მესამე რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება წინაპირობების კორექტირებას ისეთ საგნებში როგორიცაა: ეკონომეტრიკა, ქცევის ეკონომიკა, ტურიზმის ეკონომიკა, მენეჯერული ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, მეწარმეობა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ამ საგნებთან მიმართებით მათი ანალიტიკური აზრი არის მოცემული, კერძოდ, რომელი საგნები მიაჩნიათ კურიკულუმიდან გამომდინარე აღნიშნული საგნების წინაპირობად. უკუკავშირის წერილში აღნიშნულია, რომ ესეც გათვალისწინებულია, თუმცა გადამოწმებისას სილაბუსებში ვერ ნახეს აღნიშნული ცვლილებების განხორციელება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნიკური ხარვეზით, რაზეც თავად უნივერსიტეტი ისაუბრებს, მოცემულ ეტაპზე ორი შეუსაბამობა დაფიქსირდა. უკუკავშირის პერიოდში მზაობა იყო, მაგრამ თანდართულ დოკუმენტებში არ იყო ასახული, შესაბამისად, დარჩა რეკომენდაციების ნაწილში, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტებში იგივე მდგომარეობა იყო, გარდა ამისა არის რჩევითი ნაწილიც, რომელიც დაეხმარებათ

უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებაში. თუ რაიმე სახის შეკითხვა აქვთ მზად არიან პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, დასძინა, რომ აღნიშნული დღე მნიშვნელოვანია, რადგან პირველად, აკრედიტაციის საბჭოზე წარსდგა როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი. მადლობა გადაუხადა, ასევე, ექსპერტებს გაწეული სამსახურისთვის და მათთვის ღირებული რეკომენდაციის გაწერისთვის. დაწესებულების პასუხი კი იყო შემდეგი: მესამე რეკომენდაციისათვის ნაწილი ხელშეკრულებებისა არ იყო გადმოგზავნილი და მათ ჰქონდათ რამდენიმე ხელშეკრულება, რომელთა ნაწილი განახლდა და მიეთითა რაოდენობები, რაც ექსპერტმაც აღნიშნა, რის საფუძველზეც მათ მოხსნეს რეკომენდაციები, ხოლო პირველ რეკომენდაციას, რომელიც წინაპირობებთანაა კავშირში, ტექნიკური ხარვეზი წინაპირობების მატრიცაში იყო, რაზეც კიდევაც მისწერეს, როდესაც პროექტზე უპასუხეს არგუმენტირებული პოზიციის გამოხატვის დროს. სინამდვილეში ეს ყველაფერი გასწორებული იყო, გარდა ერთი სილაბუსისა, რომელსაც არ ჰქონდა წინაპირობა, კერძოდ, „ეკონომიკის მოძღვრებათა ისტორია''. ყველაფრის მიუხედავად, მათ განმეორებით გადააგზავნეს წინაპირობების გასწორებული მატრიცა დასილაბუსები, რადგან ტექნიკური ხარვეზი დაფიქსირდა, დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ წინაპირობების ნაწილში მიცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდათ. 2020 წელს როდესაც გაიარეს აკრედიტაცია მაშინაც სწორად ჰქონდათ წინაპირობები, ასე რომ ნამდვილად გათვალსიწინებულია და გასწორებულია და იმედს იტოვებს, რომ მათ აზრსა და შეხედულებას დამსწრე საზოგადოებაც გაითვალისწინებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 20:56

დასრულების დრო : 21:01

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა : სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ **სსიპ -** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

1. **მეათე:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიში.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	კულტურის კვლევების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, A კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიიცის განხილვა

ექსპერტმა ნინო ჩიქოვანმა სიტყვა დაიწყო მისალმებით და აღნიშნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ორიათას თერთმეტი წლიდან ფუნქციონირებდა სადოქტორო პროგრამა ასეთი

სახელწოდებით „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა'', რომელიც სხვა ხარისხებთან ერთად ანიჭებდა კულტურის კვლევების დოქტორის ხარისხს. ორიათას ცხრამეტი წლის ათი აპრილის ბრძანების შესაბამისად, კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ეს ინტერდისიპლინური პროგრამა დაიშალა და ამჟამად ის წარმოდგენილია ცალკე პროგრამების სახით და მათ შორის ერთ-ერთია კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა, რომლის არაგეგმიური მონიტორინგიც ხორციელდებოდა ამჯერად. მონიტორინგი განხორციელდა ცენტრის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე, მასალები წარმოდგენილი იყო სრულყოფილად, არ გამხდარა საჭირო დამატებითი მასალების გამოთხოვა. ისინი აფასებდნენ პირველ და მეორე სტანდარტს სრულად და მეოთხე სტანდარტიდან აფასებდნენ: პირველ, მეორე და მესამე ქვესტანდარტებს. პროგრამის და წარმოდგენილი მასალის შესწავლის საფუძველზე, გაიცა ერთი რეკომედაცია, რომელიც გაიზიარა პროგრამამ, რაც გამოგზავნილი პასუხიდან ჩანს. რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისობაში მოყვანას, ეს ეხებოდა ენას და ენის ფლობის დადასტურებას. როგორც ცნობილია, დაშვებული იყო როგორც გერმანული ისე ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, მაგრამ გერმანულის ენის მცოდნეთათვის მოითხოვებოდა ინგლისური ენის ცოდნაც B 1 დონეზე, ხოლო შემდეგ, თავად პროგრამაში რამდენიმე საგანი მათ შორის სავალდებულოც იკითხება ინგლისურ ენაზე და წინაპირობაში ჩადებულია B2 დონეზე ენის ცოდნა. ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებდა ენის სწავლებას ჩათვალეს, რომ აქ იყო გარკვეული შეუსაბამობა და მათი რეკომედაციაც შეეხო ამ საკითხს. რჩევებთან მიმართებით თავად უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, ხოლო პასუხი რეკომენდაციაზე, რომელიც მიიღეს ექსპერტებმა, სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

სხდომის თავჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს მოხსენებისთვის, და დაწესებულებას სთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სიტყვა დაიწყო მისალმებით და მადლობა გადაუხადა ექსპერტს დასკვნისთვის და შეფასებისთვის, დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ შუამდგომლობა დააყენა საბჭოზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის თაობაზე, რაც შეეხება მათ პოზიციას ეს წერილშივე იყო მითითებული და მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ დააყენა ძალაში შესვლის საკითხი დღის წესრიგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სჭირდებათ სწავლის დაწყებამდე აღნიშნული პროგრამის ამოქმედება.

გამოცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 21:15

დასრულების დრო:21:23

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინაღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შმდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 13 სექტემბრის 21:25 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით